მარტი
1939 წ.
№ 155
პარიზი

# დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
MARS
1939 — № 155
Paris

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.



არზაყან ემუხვარი
(1880—1939)

# ა რ ზ ა ყ ა ნ   ე მ უ ხ ვ ა რ ი

24 მარტს დილის ექვს საათზე, პარიზის საავადმყოფოში—კლოდ ბერნარ—გარდაიცვალა სისხლის მოწამლისგან არზაყან ემუხვარი, საქართველოს დიდი პატრიოტი და აბხაზეთის სწორუპოვარი შვილი, მისი მეთაური და მოამაგე.

არზაყანი (დიმიტრი) დაიბადა 26 ოქტომბერს 1880 წელს სოფ. ჩხორთოლში, განთქმული ბედიის საზღვარზე, სამურზაყანოში. მისი მამა თავადი ყაზილბაქ (კონსტანტინე) ემუხვარი ახალგაზდა გარდაიცვალა, მაგრამ მის დედასაც, ნაზსა და გულკეთილ ხიმზადა მარღანიას ასულს—ბზიფიდან—არ რგებია დიდი ხნის სიცოცხლე. ობოლი და წარმტაცი ბავშვი იზრდებოდა ძიძასთან, მშვენიერი ბუნების წალკოტში, და ძიძიშვილნი იყვნენ მისი ნამდვილი მომვლელნი. როცა არზაყანი ოქუმის (ჩხორთოლი ოქუმის საზოგადოებაში შედის) პირველ დაწყებით სკოლას მიაბარეს, ის ცხენით მოჰყავდათ იქ ყოველ დილას. ოქუმიდან არზაყანი ახალ სენაკის სასულიერო სასწავლებელში გადაიყვანეს ჩქარა, იქიდან ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1902 წელს. არზაყანი ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების სტიპენდიანტი იყო, და ვალდებულიც იყო ემსახურნა ამ მიზნისათვის: თავადი მისიონერი მართლაც ძალიან ხელსაყრელი იყო შავრაზმელი რუსის არქიელისთვის, მაგრამ ეს იმედი მას არ გაუმართლდა.

ტყუილად კი არ სწავლობდა არზაყანი ქუთაისში, მან იცვალა ფერიცა და სულიც, იქცა ქართველ პატრიოტად და იმავე დროს მესამე დასსაც მიეკედლა. შინ დაბრუნებისას ის შეუდგა სამზადის მაღალ სასწავლებელში შესასვლელად რუსეთში, მაგრამ მას დახვდა გარდაუვალი დაბრკოლება: 22 წლისას სამხედრო ბეგარა გადაუხდელი ჰქონდა და, როცა სემინარია დაამთავრა, მოსთხოვეს ჯარში შესვლა. მას შეეძლო, ცენზის მიხედვით, ტფილისის საიუნკრო სასწავლებელში შესულიყო და ღირსეული ოფიცერი გამხდარიყო, ამისათვის ყველა თვისებები ჰქონდა: ტანადი, მამაცი, გამჭრიახი. მაგრამ არზაყანმა უკუაგდო ეს მოწოდება, რომელსაც მას დაჩოქებით სთხოვდენ ძიძიშვილნი, იბრძოლა მთელი ორი წელიწადი, რომ სულაც თავი დაეღწია სალდათის ფარაჯისთვის და ამას კიდეც მიაღწია გავლენიანი ნათესავების წყალობით. ამ დროს დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომიც და პირველი რევოლუციის სიომაც დაჰბერა. არზაყანი «სოხუმის რესპუბლიკის» ხელმძღვანელი ხდება, ეხლა უკვე ბრჩხილებ-გახსნილ სოციალდემოკრატიის რიგებში, ციხეშიც ზის ცოტა ხნით რესპუბლიკის დამარცხების უმალ და მხოლოდ 1908 წ. მიუსაჯა ტფილისის სამოსამართლო პალატის სესიამ ერთი წელიწადი, აშკარაა, იმავე გავლენიანი ნათესავების წყალობით. სოხუმის ციხეში ამ ერთი წლით ჯდომამ არზაყანი აქცია მთელი აბხაზეთის უცილო ბელადად: მის შეუკითხავად არაფერი ხდება იქ ღირსშესანიშნავი, აბხაზეთის «დამნაშავე მოსახლეობა»—ასე მონათლა იგი რუსის მართველობამ 1878 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ—ყაზილბაქის შვილს არზაყან ემხს (ემხ აბხაზურად ემუხვარია) თავის მფარველად სთვლის.

საინტერესოა და საგულისხმიეროც ერთი ეპიზოდი. 1912 წელს სოხუმის რეალურ სასწავლებელში ქართველი მასწავლებლის ადგილი განთავისუფლდა, არზაყანი დათანხმდა თავისი კანდიდატურა წამოეყენებია, არჩევა კი სოხუმის ქართველ საზოგადოების საქმე იყო, არავის ერთი ბეწო იჭვი არ დაბადებია, რომ მას გაათეთრებდენ. რევოლუციურ-ეროვნულ მუშაობას დავეთხოვოთ, არზაყანი ვორონცოვ-დაშკოვის საერობო თათბირში თავად-აზნაურობის კურიის თავმჯდომარე იყო. მოხდა გასაოცარი ამბავი: არზაყანი გააშავეს! გვახსოვს, როცა გაახსენებდენ მას ამ ამბავს, არზაყანი ჩაიცინებდა თავისებურად. მას ერთგვარი მიუბაძავი თავშეკავებული სიცილი სჩვევოდა, არისტოკრატია—ამბობდენ მეგობრები; პრაგიდან რომ ჩამოვიდა, ჩვენ ერთხელაც არ გვსმენია ეს სიცილი, მის მეგობარ კოწიასაც უკვირდა ეს.

ჩვენ არ გვინდა შევჩერდეთ, რა იყო არზაყანი მეორე რევოლუციის დროს და მის შემდეგ, როგორც აბხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი—ეს ყველას თვალწინ გვიდგას. არზაყანს დარჩა სამშობლოში მეუღლე მარო ჩიკვაიძის ასული და ორი მომწიფებული ვაჟი. პარიზის ქართველობა და ჩვენი რედაქცია ულრმეს თანაგრძნობას უცხადებს დაობლებულ ოჯახს და მთელს აბხაზეთს საყვარელი ქმრის, მამის და სასიქადულო შვილის დაკარგვის გამო.

აკ. ღქუმელი.

## არ. ემუხვარის უკანასკნელი დღეები და მისი დასაფლავება

არზაყან ემუხვარი პრიღიდან პარიზში გვეწვია 8 მარტს. 18 წლის უნახავ მეგობარს სადგურზე დავხვდით მისი ჭაბუკობის ამხანაგი კ. კანდელაკი და ამ სტრიქონების ავტორი. მეშინოდა, რომ ამდენი ხნით დაცილებულთ ვერც კი გვეცნო ერთმანეთი. ასეთი ფიქრით გავედი სადგურის ბაქანზე და ავყევი ახლად ჩამომდგარ მატარებლის გასწვრივ მატარებლიდან ჩამოსული მგზავრები ჭიანჭველებივით ირეოდენ. ბეჯითად ვაცქერდებოდით თვითეულ მათგანს; თვალი შეჩერდა ახოვან ვაჟკაცზე. ფეხს ავუჩქარე და მისკენ გავეშურე; მანაც მომკრა თვალი. ვიცანი და მიცნო; კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ერთმანეთს გადავეხვიეთ. უკან ჩამორჩენილმა კ. კანდელაკმაც მოგვისწრო და ისინიც ერთმანეთს გადაეკონენ. შუაში ჩაგვიდგა, ორივეს მკლავები მკლავში გაგვიყარა და ასე ჩამწკრივებულნი გამოვედით სადგურიდან. მოვიყვანეთ წინასწარ გამზადებულ ბინაზე, დავაბანაკეთ და მეგობრულ ბაასში გავებით. ამ დღიდან მოკიდებული იშვიათად ვტოვებდით ერთმანეთს. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ ინახულა ძველი ამხანაგ-მეგობრები. აბა რას ვიფიქრებდით ან ჩვენ ან თვითონ არზაყანი, რომ სულ რამდენიმე დღეში სამუდამოდ გავიყრებოდით?.. რომ სიხარული საშინელი მწუხარებით შეგვეცვლებოდა?..

18 მარტს საღამოს თავი შეუძლოდ იგრძნო. ექიმს დაუძახეთ იმავე წუთში, მაგრამ გარკვევით ვერაფერი გვითხრა. მეორე დღეს დიდი სიცხით შეპყრობილი არზაყანი ლოგინიდან არ წამომდგარა. მოვიწვიეთ ცნობილი ექიმი; მდგომარეობა საშიშრად იცნო, მაგრამ უიმედობა არ გამოუთქვამს. ავადმყოფს თავს დავტრიალებდით ყველა მეგობრები. ექ ი. ხოჭოლავაც თავს ადგა, თავის დროზე წამალს ასმევდა და ნემსებს უკეთებდა; მიუხედავად ყოველგვარ ზომების მიღებისა ავადმყოფს მოკეთება არ დაეტყო. მესამე ექიმსაც დავუძახეთ და მათი რჩევით გადავიყვანეთ საავადმყოფოში, სადაც საუკეთესო სპეციალისტი ექიმები გვეგულებოდა. საბრალო ჩვენს მეგობარს არაფერმა უშველა. სისხლი აღმოაჩნდა მოწამლული და პარასკევს დილით, ხუთიექვსი დღის ავადმყოფობის შემდეგ, სამუდამოდ გამოგვეთხოვა. თავს ზარი დაგვცა ამ მოულოდნელმა ამბავმა; დავკარგეთ დიდი პატრიოტი, შეუდარებელი მეგობარი, ჭირსა და ლხინში მოზიარე მამულიშვილი.

გადაწყდა, დაგვესაფლავებია სოფელ ლევილის სასაფლაოზე, სადაც განისვენებს ამ უცხოეთში მასავით უდროვოდ დაკარგულ მამულიშვილთა უმრავლესობა. კვირას, 26 მარტს, გამოვასვენეთ პარიზიდან და გავამგზავრეთ ლევილისაკენ. ცივი ქარიანი დღე იყო; მიუხედავად ამისა მეგობრებმა და პატივის მცემლებმა ცხედარი გავაცილეთ სასაფლაომდე. სასაფლაოს ეზოში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი; აქ იყო საქართველოს ეროვნული მთავრობაც ნ. ჟორდანიას მეთაურობით. დასაფლავებას დაესწრენ აგრეთვე აზერბაიჯანისა და მთიელთა წარმომადგენელნი და გაიზიარეს ჩვენი დიდი მწუხარება.

ცოცხალი ყვავილებისაგან გაკეთებულ გვირგვინებით (საქართველოს მთავრობის და სხვ.) შემკულ კუბოს წინაშე მეტად მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ეროვნულ მთავრობის სახელით კ. კანდელაკმა. შემდეგ ილაპარაკეს აკ. ჩხენკელმა, ვლ. მგელაძემ, ვლ. ემუხვარმა და ბ. ტობჩიბაშმა.

სამგლოვიარო ცერემონია დათავდა საღამოს ექვს საათზე და უცხო მიწას მივაბარეთ ავტონომიურ აბხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე არზაყან ემუხვარი.

საქართველოს ემიგრაციამ კიდევ გაიღო ერთი დიდი მსხვერპლი; მან დაკარგა დიდი ნებისყოფის და მტკიცე პრინციპების მქონე მამულიშვილი.

თავის სამშობლოზე შეყვარებული და მისი სამსახურისთვის თავდადებული არზაყანი დღეს უცხო ქვეყნის მიწაში განისვენებს, მაგრამ მადლიერი ქართველი ერი და რაინდ ბუნების აბხაზობა არასოდეს დაივიწყებენ მის ღვაწლს და პირველ შემთხვევისთანვე მის ცხედარს დაუბრუნებენ სამშობლო ქვეყანას.

ი. ჭავჭანიძე.

---

კ. კანდელაკის სიტყვა.

ჩემო ძვირფასო არზაყან,

მინდა დავძლიო ის მწარე ტკივილი, შენმა ასე უეცრად, ასე მოულოდნელმა დაკარგვამ რომ გამოიწვია ჩვენში, და ორი სიტყვა გითხრა ამ საუკუნოდ გამოთხოვების წუთში.

ამას მავალებს მე ამ 40 წლის წინად, ნორჩ ახალგაზდობაში ჩანერგილი მეგობრული დამოკიდებულება და სიყვარული შენდამი—ერთის მხრით, და ღრმა პატივისცემა იმ თავდადებულ მოღვაწეობის, რომელსაც შენ ეწეოდი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ—მეორე მხრით.

ახლა, ამ შენი სამუდამოდ დადუმებულ არსების წინაშე მე მაგონდება შენი წარსული; მაგონდები შენ 14-15 წლის ბავში, ქართული ენა თითქმის რომ არ იცოდი და იმის შესწავლას შენ, აბხაზს. სკოლაში არც გაძალებდა ვინმე; მაგონდები შენ ისეთ სასკოლო რეჟიმში ჩაყენებული, სადაც მორჩილება და პირმოთნეობა აღზრდის პრინციპად იყო აღიარებული; მაგონდები—განსაკუთრებულ მფარველობით აღჭურვილი, რათა შენგან შენი ქვეყნის, აბხაზეთის, რუსიფიკატორი გამოსულიყავი...

მაგრამ სასტიკად ცდებოდენ შენი ოფიციალური ხელმძღვანელები: ისინი არ იცნობდენ ძგერას შენი კეთილშობილ გულისას და ვერც იმ ფაქიზ ხასიათს მისწვდებოდენ, შენ რომ გამშვენებდა.

მახსოვს შენი გატაცება სწორედ ქართულ ლიტერატურის და საქართველოს ისტორიის შესასწავლად, რისი შედეგი იყო ის, რომ შემდეგ არა ერთხელ იტყოდი ხოლმე: ვინც საქართველოს და აბხაზეთის ისტორიას იცნობს, მისთვის შეუძლებელია მათი განცალკევების თუნდაც უბრალო წარმოდგენაო... მახსოვს შენი დამოუკიდებელი და მტკიცე, კეთილშობილებით და თავმდაბლობით აღსავსე ხასიათი, რომელიც შენს ტოლ-მეგობრებში შენდამი უსაზღვრო პატივისცემის გამომწვეველი იყო; დავაჟკაცებასთან ერთად იზრდებოდა შენში ადრიდანვე შეთვისებული სიყვარული თავისუფლების, ხალხის სამსახურის, სამშობლოსთვის თავდადების.

ამიტომაც შენ უკუაგდე თბილი გზა რუსის მოხელის და რუსის კულტურ-ტრეგერის. რომელსაც შენ გიმზადებდენ, და თავიდანვე აირჩიე ეკლიანი გზა ხალხთან ყოფნის, რევოლუციონერის, პატრიოტის—საქართველოში ისე. როგორც აბხაზეთში.

და როცა ერთიც და მეორეც რუსეთის უღლიდან განთავისუფლდენ, შენ იყავი ერთი საუკეთესო მიმრქმელი თავისუფალ აბხაზეთის თავისუფალ საქართველოს წიაღში.

ავტონომიურ აბხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს, შენ წილად ჰხვდა მრავალ არეულობის—ადგილობრივ შოვინისტების თუ გაბოლშევიკებული ხულიგანების, რუსების თუ ოსმალოების ინტრიგების წინაამდეგ ბრძოლა და მათი დაძლევაც.

შენი ავტორიტეტი, პატივისცემა შენი პიროვნების დიდი იყო არა მარტო აბხაზობაში განურჩევლად მდგომარეობისა და მიმართულებისა, არამედ იქაურ მრავალტომიან საზოგადოებაში.

მე არ ვიცი—ვინ იყო შენში უფრო ძლიერი: ის კეთილშობილი დედა, რომლის მკერდზე აღიზარდე აფხაზეთში, თუ დედა-ქართლისა, რომლის ყოფაცხოვრებას, რომლის ბედსა და უბედობას სიყრმიდანვე შენ ეზიარე?

ვისი გული უფრო მძლავრად ფეთქავდა შენში: თავისუფლების მოყვარე აბხაზის თუ თავდადებული ქართველის?

ერთისაც და მეორისაც,—მთლიანად და უნაკლულოდ. შენ იყავი განსახიერება იმ ერთ-არსების, რომელსაც თავისუფალი, გაერთიანებული საქართველო გამოხატავდა: აფხაზეთის დიდი მამულიშვილი და საქართველოს უსაზღვრო პატრიოტი!..

ვაი, რომ ბევრმა არც კი იცის, რა დიდი განძი დავკარგეთ შენში, დავკარგეთ ყველამ—აბხაზებმაც და ქართველებმაც: დავკარგეთ შეუდარებელი პიროვნება ამ ორი ძმის ურთიერთობისთვის ჩვენს თაობაში!.. გვრჩება იმედი იმის, რომ ის ცხოველმყოფელი თესლი, შენ რომ უხვად დასთესე შენს სიცოცხლეში, უნაყოფოდ ვერ დარჩებოდა და მრავლად იქნებიან ისინი, ვინც შენს მაგალითს ცხოვრების გზად და ხიდად გაიხდიდენ. ამან უნდა ანუგეშოს იქ შენი დაობლებული ცოლშვილი და ყოველგან გაფანტული შენი მეგობრებ-ამხანაგები.

დიდი ხნის უნახავმა და ამ 15 დღის წინად ჩამოსულმა, შენ სწრაფად გააცხოველე გრძნობა სიყვარულის და პატივისცემის იმათშიც კი, ვინც პირადად შენ არ გიცნობდა; ჩვენ კი ვიხილეთ შენში ძველი არზაყანი—მხნე, იმედით სავსე, მუდამ საქმისთვის თავდადებული... რა სიხარულით, რა მოუთმენლად მოეჩქარებოდი შენ პარიზში, ჩვენსკენ, არა მხოლოდ ძველი მეგობრების სანახავად, არამედ ჩვენ საქმესთან უფრო დასაახლოებლად... და რა უბედური მასპინძლები გამოვდექით ჩვენ! რამდენიმე დღეც არ დაგვცალდა შენთან ურთიერთობის: ასე უეცრად თავზარდაცემულნი შენი ღია საფლავის წინაშე ვდგევართ... უსაზღვრო არის, ძმაო არზაყან, ჩვენი მწუხარება!

როგორც საქართველოს ეროვნ. მთავრობის წევრი, მისი სახელით მე თავს ვიხრი შენი ხსოვნის, შენი თავდადებულ და ნაყოფიერ მოღვაწეობის წინაშე, ღრმად დარწმუნებული, რომ შენი მშობელი ერი, მთელი საქართველო, პატივით და სიყვარულით მოიგონებს მუდამ შენს სახელს, როგორც შენი სიყრმის მეგობარი და ამხანაგი, სხვა შენ მეგობრებთან ერთად, შენს კეთილშობილ ხსოვნას საუკუნოდ გულში ვატარებთ.

სხვა სიტყვები უადგილობისა გამო ვერ იბეჭდება.

—

პრაღიდან მოგვივიდა შემდეგი დეპეშა: პრაღის ქართველები გაოცებულნი და უზომოდ შეწუხებულნი ვართ. დავსტირით ჩვენს გაუტეხელს, ერთგულს და კეთილშობილ არზაყანს. საქართველოს დიდს პატრიოტს. ვიხდით პანაშვიდს. უბირია.

## ქართველთა გაერთიანება უცხოეთში

საახალწლო მეთაურში ჩვენ დაბეჯითებით მოვითხოვდით ქართველი პოლიტიკური ემიგრაციის ერთ ეროვნულ ორგანიზაციაში გაერთიანებას. ჩვენ ისევ ვუბრუნდებით ამ კითხვას, რადგან მას აქეთ სამმა თვემ განვლო და იგი ჯერ კიდევ გადაუჭრელია. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ სერიოზული ცდები არ იყო გაკეთებული გაერთიანებისათვის, ეხლაც გრძელდება მოლაპარაკება და იმედი არ დაგვიკარგავს მის კეთილად დამთავრების.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დრო არ იცდის. თუ დავაკვირდებით, რა ხდება ჩვენს ირგვლივ, რა ციებ-ცხელებას განიცდის ევროპა, მთელი დაწინაურებული მსოფლიო, დანაშაულად უნდა ჩაითვალოს ჩვენი სიზანტე, გაუბედაობა, ყოყმანი ისეთ საჭირბოროტო საქმეში, როგორიცაა ეროვნული გაერთიანება.

დახეთ, რა ხდება საფრანგეთში, ან კიდევ ინგლისში, ტოტალიტურ სახელმწიფოებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი... ყველგან ერთი და იგივე სტიქიური მისწრაფებაა უძლევი ეროვნული ფრონტის შექმნისათვის, ყველგან სიტყვიდან საქმეზე გადასვლა და სოციალური თუ პარტიული ბრძოლების შენელება, ყველგან საგარეო საშიშროების პირველ რიგში წამოჭიმვა და ინტენსიური სამხედრო სამზადისი მის თავიდან ასაცილებლად.

და ამ დროს ჩვენ კიდევ ფეხს ვითრევთ, ვითომ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა უკეთესია, ვინემ თავისუფალი დიდი სახელმწიფოების! ჩვენთვის ხომ სულაც არ არსებობს საშინაო კითხვები—რა გვაქვს აქ გასაყოფი!—ვართ გადმოხიზნული, რომ ვიზრუნოთ საგარეო კითხვებზე, ჩვენი ერის საშინელი, გაუგონარი მონობისგან დახსნისათვის. ეტყობა, ჩვენც ჩაგვითრია სპეციფიურმა ემიგრანტულმა ატმოსფერამ, და ვშიშობთ, რომ ჩვენ მოვსწყდით არა მარტო ფიზიკურად, სულიერადაც მშობელ ერს, არ განვიცდით მის მადლიან გავლენას.

თორემ რით აიხსნება ჩვენი ემიგრაციის ზოგიერთი წრეების ეგრეთ წოდებული იდეოლოგიური ბრძოლით გატაცება, ერთი ბანაკისკენ ცალმხრივი მიკედლება და მეორისკენ ზურგის შექცევა? ვინ მოგვცა ამის ნება? განა ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის სწორად გაგებული ინტერესები? ვართ თუ არა ჩვენ ისეთი მძლეთა მძლე ფაქტორი, რომ ამ საერთაშორისო დაბანაკებაში გადამჭრელი როლი ვითამაშოთ, ჩვენს ნებაზე გადავსწიოთ სასწორი? ჩვენი უწმინდესი მოვალეობა უნდა იყოს ამ საბედისწერო ისტორიულ ხანაში, ყველგან მეგობრებს ვიძენდეთ, არ ვერეოდეთ დონკიხოტურად დიდი სახელმწიფოების იდეოლოგიურ თუ სხვა დავებში. დაუშვებელია რეჟიმისათვის თავის მტვრევა, როცა ქვეყანა ბორკილებშია; როცა ის დაამსხვრევს ბორკილებს, მაშინაც ხომ თავისუფალი სუვერენული ერია გადამწყვეტი როგორც რეჟიმისა, ისე მისი საერთაშორისო განწყობილების.

განა ეხლა მაინც გვებადება იჭვი, თუ რა დიდ ვნებას აყენებს «კავკაზის» უპასუხისმგებლო ჯგუფი ქვეყნის საქმეს, როცა ის აყოლია გარეშეს ფეხის ხმას და სისტემატიურ «იდეოლუგიურ» კამპანიას ეწევა ჩვენი ერის სულ ახლო წარსულის წინაამდეგ, აძაგებს მის წყობილებას, ხელისუფლებას, აბიაბრუებს მის ხელმძღვანელთ? რა უნდა სთქვან იმ სახელმწიფოებმა, ვინც საქართველო იცნო, ჰქონდა დიპლომატური დამოკიდებულება მის მთავრობასთან? განა არ იტყვიან, ვინ ყოფილან, რას მიედ-მოედებიან! ნუ დაივიწყებთ, მაშინდელი შვიდი დიდი სახელმწიფოდან ე ქ ვ ს მ ა იცნო საქართველო, არ ვამბობთ გაცილებით მეტ საშუალო და მცირე სახელმწიფოებზე, რომელნიც «დიდების» გზას გაჰყვენ,--მაშ ყველა ეს სახელმწიფოები შემცდარი ყოფილან! ჩვენ არ გვინდა «კავკაზელების» ჟარგონს აჰყვეთ, ავღნიშნავთ მხოლოდ, რომ მათ ეხლა «რუსულად» დაგვიწყეს ლანძღვა თრევა! ჩვენს წინა დევს გერმანული «კაუკაზუს» იანვრის ნომერი, კითხულობთ და თვალს არ უჯერით, ნუ თუ იმდენად დაეცა ეს ხალხი, რომ დაბეზღებასაც არ ერიდება! მათ ხომ კარგად იციან, რომ პიროვნებას, რომელსაც ისინი ტალახში სვრიან, სწორედ ძალიან რთული საქმიანი მოლაპარაკება ჰქონდა საიმპერიო მთავრობასთან, საქართველოს სახელით. მაგრამ რაღა უნდა გაიკვირვოთ, როცა «კაუკაზუს» პროფესორმა ეს მოლაპარაკება გარედ გამოამზეურა. მან ხომ იცის, რომ ამის შემდეგ მას ძალიან გაუტყდა სახელი სათანადო ადგილას, და ვერც კი გაბედა ეპასუხნა ჩვენ შენიშვნაზე ამის შესახებ. უბადრუკობა იქამდის მიდის, რომ სახელსაც კი გვიცვლიან: იმის მაგიერ, რომ სთარგმნონ გეორგიენ-გეორგიერ-გეორგიშ (საქართველო-ქართველი-ქართული), კითხულობთ გრუზინიენ-გრუზინიერ-გრუზინიშ»! რამდენი ბრძოლა გაგვიწევია, ამ ოცი წლის წინ, ამ რუსული ტერმინებისთვის, გავიმარჯვეთ კიდეც და ეხლა «კავკაზელები» ისევ მოსკოვს გვაკერებენ. გახსოვთ ალბად, იმ დროს ბევრს არ სჯეროდა, რომ ქართული ენა სლავიანურიდან არ წარმოსდგებოდა!

მაგრამ ჩვენ ერთში მაინც უნდა გამოვიყენოთ პოლიგლოტ «კავკაზის» უმზგავსო მაგალითი: არ ჩავიდინოთ ის, რასაც ეს მახინჯი «ძმები» სჩადიან. თუ მიბაძვაზე მიდგა საქმე ჩვენ ისევ ქართველ ერს უნდა მივბაძოთ, რომელმაც ქვეყნის დაკავების პირველ დღიდანვე განდევნა ყველაფერი გამთიშავი, იდეოლოგიური, პარტიული და დაუპირდაპირდა მტერს, როგორც მთელი, მონოლიტი. თვით საერთო ფრონტის იდეა ხომ მისგან მოგვესმა, იქ მოხდა პირველად გაერთიანება, იქიდან მოგვთხოვეს აქაც იგივე გვექნა.

დღეს ჩვენი ერის ეს ძახილი სასოებით უნდა იქნეს მოსმენილი და ფაქტად ქცეული. საბჭოთა კავშირი საცაა საერთაშორისო დიდ გართულებაში იქნება ჩათრეული. რა თქმა უნდა, კრემლი ცდილობს, გაუსხლტეს ამ გარდაუვალ სვე ბედს, განზე დარჩეს, მაგრამ ამაოდ. სტალინის «თავდაჭერილი» სიტყვა კომპარტიის მე 18 ყრილობაზედ მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ის წინდაწინვე გრძნობს, რა შედეგი უნდა მოჰყვეს მეორე დიდ ომს. თუ მეფეთა რუსეთმა სამი წელი გაუძლო, სტალინის რუსეთი სამ თვესაც ვერ გაუძლებს ომის საშინელებას. რატომ? იმიტომ, რომ საბჭოთა ერებს მეორე ისეთი მტერი არ ეგულებათ ქვეყნიერებაზედ, როგორიცაა სტალინის დიქტატურა, მაშასადამე, ეს ერები სტალინის გვერდით არ იქნებიან. ამაში დარწმუნებული არიან სამთა ღერძის სახელმწიფონი და კიდეც ამიტომ მოქმედებენ ისე, თითქო რუსეთი სულაც არ არსებობდეს ამ ქვეყნად! არ არის გამორიცხული, წარმოიდგინეთ, ისეთი შემთხვევაც, რომ სტალინმა უომრად ქედი მოიხაროს და დაემორჩილოს სამთა ღერძის განაჩენს! ეხლა ხომ დიდი პანიკების ხანაა, ვინ იცის, როგორ აკანკალებს კრემლის ვაჟ ბატონებს, ერთ მშვენიერ დღეს მათ რომ ულტიმატუმი წარუდგინონ...

მაგრამ უქმია ჰიპოტეზები, მოვლენები ისეთი სისწრაფით იცვლება, რომ შეუძლებელია ყველაფრის გათვალისწინება; ცხადია მხოლოდ, რომ ჩვენ დიდი ისტორიული ძვრების წინაშე ვსდგევართ, და აქედან ყოველ დღეს, ყოველ წუთს აქვს მნიშვნელობა. საჭიროა დავივიწყოთ ყოველგვარი პირადული, ჯგუფური, სექტანტური; მივცეთ ერთმანეთს ხელი, გავერთიანდეთ, ღირსეულად ვატაროთ სახელი იმ ერისა, რომელმაც არა ერთხელ აალაპარაკა, თავისი გმირობითა და გამჭრიახობით, კაცობრიობა.

მაგრამ ქართველებს ხომ მეორე მოვალეობაც გვაწევს: კავკასიელების გაერთიანება და მათი სხვა ჩაგრულ ერებთან გადაბმა ერთი მიზნისათვის, ერთი იდეალისათვის. მაშ ნუ დავაყოვნებთ!

## ევროპა დიდი ომის შემდეგ

### IV.

გერმანიის მხრივ რენანიის რეოკუპაციამ და სამხედრო ბეგარის შემოღებამ, ევროპის სახელმწიფონი საგონებელში ჩააგდო. მათ კარზე ომის საშიშროება მოადგა; ომის ასაცილებლად ისევ ძველ, ნაცად გზებს მიმართეს; დარღვეული ხელშეკრულებების ახლით შეცვლა მიზანშეწონილად დაინახეს ინგლის-საფრანგეთმა იტალიის გერმანიისაგან ჩამოშორება ისარგებლეს. სამ სახელმწიფოთა შორის ახალი ხელშეკრულების ასაგებად მოლაპარაკება გაჩაღდა. მოლაპარაკება ეგრეთ წოდებულ სტრეზას ფრონტის დაარსებით დამთავრდა.

ცნობილია, რომ დროგამოშვებით ისტორია პირს განმეორებისკენ იბრუნებს. 1891 წელს 31 დეკემბერს, რუსეთის მეფის კურთხევით, საგარეო საქმეთა მინისტრმა გირსმა და საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩმა მარკიზ მონტებელომ, საფრანგეთ-რუსეთის კავშირის აქტს ხელი მოაწერეს; და აი 1935 წელს 2 მაისს საფრანგეთ-რუსეთს შორის ხელახლა დაიდო კავშირი. 1932 წლის სამოქალაქო დაქორწინება 1935 წლის საეკლესიო დაქორწინებით დამთავრდა. ხოლო 1891 წელს გირსმა თითქო იგრძნო, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა საფრანგეთ-რუსეთის შეუღლებას. როდესაც აქტის ხელმოსაწერად კალამი ხელში აიღო, ხელი აუკანკალდა; მარკიზ მონტებელოს შეკითხვაზე, თუ რა დაემართა, გირსმა უპასუხა: «ღმერთს ვსთხოვ ამ კავშირს შედეგად რუსეთის დანგრევა არ მოჰყვესო», და მართლაც საფრანგეთთან კავშირმა რუსეთი დიდი ომის დროს დამარცხებას ვერ გადაარჩინა, ისე როგორც მონარქიის ნგრევას და მის ნანგრევებზე, მთელ რიგ, რუსეთის სამფლობელოში მომწყვდეულ ერს დამოუკიდებლობა მიენიჭა. ჯერ არვინ უწყის, თანამედროვე რუსეთის ელჩმა პოტიომკინმა, აქტზე ხელის მოწერის დროს, რა წარმოსთქვა ან რა გაიფიქრა. ალბად ამას მომავალი თაობანი ამოიკითხავენ პოტიომკინის. თუ სხვა რომელიმე დიპლომატის დღიურიდან; შესაძლოა იმანაც გაიფიქრა: დადებულ ხელშეკრულებას, რუსეთის ნგრევა ხომ არ მოჰყვება და მის ნანგრევებზე თანამედროვე რუსეთის მიერ დაპყრობილ ერების განთავისუფლებაო.

საფრანგეთ-რუსეთის პაქტმა, რუსეთის საერთაშორისო როლი ერთბაშად გაზარდა. როგორც ვიცით, დიდი ომის შემდეგ, მოსკოვი ომისგან განადგურებულ ევროპის სახელმწიფოებს გასაბატონებლად, თუ ცეცხლის წასაკიდებლად მოადგა. რევოლუციური მუშაობა იქ გააჩაღა, სადაც ასანთი მასალა უხვად ეყარა. აბობოქრებული ტალღიდან ევროპის ერებმა თავი ძლივს იხსნეს. მოსკოვმა ვერც ერები დაიმორჩილა, ვერც რევოლუცია გაანაღდა. ევროპამ მოსკოვის გავლენა განდევნა, ხოლო იმ სახელმწიფოებში, სადაც მოსკოვმა ძალაუფლების ხელში ჩაგდება სცადა და დამარცხდა, ტოტალიტარული ხელისუფლებანი დამკვიდრდა.

ერთა ლიგაში მიღებით და საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულების წყალობით, რუსეთს ევროპაში კა-

რები ღიად გაეხსნა. ერთ დროს დევნილი, უკანასკნელ წლებში კი პრესტიჟ მოსილი, მოსკოვის დიქტატურა ევროპაში შემოსვლისთანავე დემოკრატიის მანტიაში გაეხვია. ბნელეთის მოციქულმა თავისუფლების დროშა ააფრიალა, შურის და რღვევის მთესავმა, ერთა ლიგას ზავის დროშა ხელიდან გამოსტაცა, ზავის მებაირაღედ თვით გამოვიდა და აბნეულ ევროპის ერთ ნაწილს ამ თვალთმაქცობაზე ორი წლის განმავლობაში ტაში აკვრევინა.

გათამამებულ მოსკოვმა, თავისი გავლენის გაზრდა, ევროპის სახელმწიფოებში კომუნისტური პარტიის გაძლიერებით სცადა. ყველა საშუალება აატრიალა, რათა კომუნისტური პარტია საფრანგეთში გაეძლიერებინა და მისი საშუალებით, ფრანგ-საბჭოების პაქტი, რუსეთ-საფრანგეთის მჭიდრო კავშირად გადაექცია, რომლის ხელმძღვანელობა არა პარიზს, არამედ რუსეთს ხელთ ექნებოდა და მაშინ რუსეთი, ევროპის უძლიერეს სამხედრო ძალაზე დაყრდნობილი, მართლაც ევროპის ბატონ-პატრონი გახდებოდა, სტალინიც პეტრე დიდის ღირსეული მემკვიდრე შეიქნებოდა.

1936 წელს, საფრანგეთში, საპარლამენტო არჩევნების წინა ხანებში, სახალხო ფრონტის შექმნამ, რომელშიდაც კომუნისტური პარტიაც შედიოდა, ეს უკანასკნელი ყველასთვის მოულოდნელად გაზარდა. არჩევნების შემდეგ, რომელიც სახალხო ფრონტის გამარჯვებით და ძალაუფლების მის ხელში გადასვლით დამთავრდა, კომუნისტური პარტია საფრანგეთში დიდი პოლიტიკური ფაქტორი შეიქნა, რომელიც მოსკოვის კარნახის ქვეშ მოქმედებდა და მოსკოვის გავლენას საფრანგეთში აძლიერებდა და ამაგრებდა.

მოსკოვი თავისი გავლენის გასაძლიერებლად, კომუნისტური პარტიის საშუალებით, ესპანეთის ახალგაზდა რესპუბლიკაშიდაც შეიჭრა, ხოლო აქ მისი გავლენის ზრდას, სხვა სახელმწიფოთა ინტერესები დაუპირდაპირდა. ახალგაზდა რესპუბლიკამ უცხო ძალთა გავლენას თავი ვერ დააღწია, სამოქალაქო ომის ცეცხლში გაეხვია, და ორ წელზე მეტია, რაც ესპანეთის ერიც ნადგურდება და იქ მოსკოვის მიერ დანთებული ცეცხლი, მთელს კაცობრიობას ომით ემუქრება.

იმავ ხანებში, რაც საფრანგეთ რუსეთის კავშირი დაიდო, რუსეთ-ჩეხოსლოვაკიის კავშირსაც ხელი მოაწერეს; თუ პირველი მოსკოვს, დასავლეთ ევროპაში ერთ მთავარ ფაქტორთაგანად ხდიდა, მეორე მას, აღმოსავლეთ, ცენტრალურ და ბალკანეთის გზით ადრიატიკისაკენ იზიდავდა.

რუსეთის ევროპაში გავლენის ზრდამ, დაქსაქსული ევროპა, კიდევ უფრო დაქსაქსა. დიდი ბრიტანეთის, ამ «მიუდგომელ არბიტრის» როლი საერთაშორისო ასპარეზზე დიდად შემცირდა და რადგან ინგლისი რუსეთის გავლენის ზრდის მთავარ მიზეზად საფრანგეთს სთვლიდა, ამ ორ სახელმწიფოთა შორის იდუმალი ბრძოლის გაჩაღება გაძლიერდა.

არა ნაკლებ ინგლისისა, რუსეთ-საფრანგეთის და რუსეთ-ჩეხოსლოვაკიის პაქტმა იტალია ჩააფიქრა; განსაკუთრებით რუსეთ-ჩეხოსლოვაკიის პაქტი, პირველს, აღმოსავლეთ, ცენტრალურ და ბალკანეთის ევროპაში აძლიერებდა, რაც რუსეთის ადრიატიკაზე გაბატონებას შესაძლებლად ხდიდა. მოსკოვის ამ მხარეებში გავლენის შესასუსტებლად, იტალიამ ავსტრიასა და უნგრეთთან სამეგობრო კავშირები გააძლიერა და შეეცადა მცირე და ბალკანეთის ანტანტების ცისლოკაცია მოეხდინა.

პარიზ-მოსკოვის პაქტმა საფრანგეთ-პოლონეთის დაშორებაც გააღრმავა. პოლონეთმა ამ პაქტში და განსაკუთრებით მის რატიფიკაციაში თვისი უზრუნველყოფისათვის მუქარა დაინახა. რუსეთის მხრივ საშიშროების ასაცილებლად და ზურგის გასამაგრებლად გერმანიასთან უფრო ინტიმური დაახლოვება დაიწყო. მცირე ანტანტასაც ახალმა სიომ დაჰბერა. რუმინია და იუგოსლავიის საგარეო პოლიტიკაში ცვალებადობის პირველი ნიშნები ჩაისახა. ერთა ლიგის გაფურჩქვნის ხანაში ამ ორი სახელმწიფოსი საგარეო პოლიტიკა, ეგრედ წოდებულ საფრანგეთის სისტემაზე აეგო; ხოლო საფრანგეთ-რუსეთის და რუსეთ-ჩეხოსლოვაკიის პაქტების შემდეგ, როგორც ერთმა, ისე მეორემ ამ სისტემისადმი ინტერესი დაჰკარგეს. პირველი საფრანგეთის სისტემას ჩამოშორდა და ბულგარიასთან, რომელთანაც ერთ დროს დარაჯად იყო მიყენებული, უზრუნველყოფის საკითხში კერძო გარანტია მიიღო და ამავე დროს გერმანია-იტალიასთან პოლიტიკურ-ეკონომიური დაახლოვება გაძლიერა. რუმინიის საგარეო პოლიტიკის ცვალებადობაც იუგოსლავიის გზით წავიდა.

1936 წლიდან ბალკანეთის ანტანტაშიც მოხდა საფრანგეთის საერთაშორისო პოლიტიკის წინააღმდეგ გადატეხა, ხოლო 1938 წელს თებერვალში ბალკანეთის კონფერენციამ ანკარაში თავისი საერთაშორისო ახალი გეზი სააშკარაოზე გამოიტანა და მით 1936 წელს დაწყებული ევოლუცია დაამთავრა. მან თავისი პოლიტიკა საერთაშორისო საკითხებში გერმანიის და იტალიის პოლიტიკას შეუკავშირა.

ამ რიგად, საფრანგეთი, რომელიც დიდი ომის შემდეგ, ათი-თორმეტი წლის მანძილზე, განსაკუთრებული ორეოლით იყო მოცული და უდავო საერთაშორისო პოლიტიკის ხელმძღვანელად იყო მიჩნეული, რუსეთთან დაახლოვებამ, ამ უკანასკნელის ევროპაში საფრანგეთის წყალობით შემოთესვამ, მასთან დაკავშირებამ, მოსკოვის გავლენის საფრანგეთში ხელის შეწყობამ, მას თანდათან ევროპიელი მეგობრები მოკავშირენი ჩამოაცალა და საერთაშორისო განწყობილება უმთავრესად გერმანიის სასარგებლოდ გადაიხარა. ეს უკანასკნელი თავისი საერთაშორისო პოზიციების გასამაგრებლად, შორეულ აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოს—იაპონიას—იდეოლოგიურ საფუძველზე დაუახლოვდა. ამ ორ სახელმწიფოთა შორის 25 ნოემბერს 1936 წელს ანტიკომუნისტური პაქტი დაიდო.

(დასასრული იქნება)

ი. ხალაყაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მ ე ს ხ ე თ ი

(გეოგრაფიულ-ისტორიული მიმოხილვა)

«უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალემ, დაივიწყენ მარჯვენეცა ჩემი. აექვინ ენა ჩემი სასასა ჩემსა, არა თუ მოგიხსენო შენ»... (ფს. 136) თუ არა ამ გულით— ქართველი ვერ გაიხსენებს იმ მხარეს, რომელიც ჩვენი სამშობლოს თითქმის ერთს მესამედს შეადგენდა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქართული სახელმწიფოს ძლიერების შექმნაში და ეროვნული კულტურის აყვავებაში, რომელმაც უმწარესი ბედი განიცადა და რომლის მეტი წილი დღეს საქართველოს გარედ იმყოფება. მესხეთი—იგივე ზემოქართლად ხსენებული ხანდახან—სამკვიდრო მესხებისა, რომელთა შედუღებამ სხვა ქართველ ტომებთან— კოლხებსა, მეგრელ-იბერებსა და ქართუ ელებთან წარმოშვა ერთი ქართველი ერი, დღეს ცალიერი სახელია უფრო და მესხნი აღარ არიან წინამბრძოლნი ძლევამოსილი ქართველი ლაშქრისა. ქართული ხუროთმოძღვრების შვენიერ ტაძრების ნანგრევებზე აგებულ უღლაზათო მეჩეთის მინარეტიდან მუეზდინი არაქართულად მოუწოდებს სალოცავად იმათ შვილებს, რომელთაც შეჰქმნეს ქრისტიანობის ერთ-ერთი უდიდესი კერა, და მონასტრებში მოწყობილ ქართულ სასწავლებლების ნაცვლად მესხის ბავშებთ თურქულ «მედრესებში» იწვრთნებიან. ვეღარ გაიგონებთ აშოტის, გურამის, ადარნასეს, ბაგრატის, დავითის, მზეჭაბუკის, დედის-იმედის სახელებს, აღარ არიან დიდებული მესხების გვარები, ქართველნი გურჯებად იწოდებიან, ან ხშირად პირდაპირ თურქებად და მკრთალად გაისმის გრიგოლ ხანძთელის, მთაწმინდელების, რუსთაველის მდიდარი მეტყველება...

არ ვიცით, ვერ ვიტყვით, ვერ განვჭრეტთ მომავლის წყვდიადს: რა იქნება ხვალ, რა იქნება ზეგ? ხოლო ერთი რამ კი ნათელია: ქართველი ერის გულში ღრმადაა ჩამკვიდრებული მესხეთის სახე, მისი ფიქრი და სიყვარული... გადავავლოთ ერთხელ კიდევ თვალი ამ მხარეს, გადავიშალოთ თვალწინ მისი მდებარეობა-ბუნება, გავიხსენოთ მისი წარსული—მისი დიდება და დაცემა, ვნახოთ მისი ნაკვთები, უფრო დავუახლოვდეთ და განვიცადოთ სინამდვილე, რომ კიდევ უფრო გაგვიძლიერდეს მისი სიყვარული და პატივისცემა.

ყველას ადვილად წარმოგიდგენიათ მესხეთის საზოგადო ადგილმდებარეობა: იგი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილია, მთელი ჭოროხის აუზი და ნაწილი მტკვრის აუზისა, სათავედან ბორჯომამდის და აგრედვე მარცხენა ნაპირი არეზის (არაქსის) დასაწყისისა. მთიანი ადგილია და მთავარ მდინარეთა და შემდინარეთა მეოხებით დაყოფილია რამდენსამე ხეობად, კუთხედ. თვითეული კუთხე წარმოადგენს წყლების ნაპირებს, მთებით შემოზღუდულს, ფართოდ თუ ვიწროდ გაშლილს. კუთხეების რაოდენობა და მათი ურთიერთი საზღვრები ჩვენთვის დღეს მთლად გარკვეული არაა.

პროფ. ი. ჯავახიშვილი მესხეთის შემადგენელად შემდეგს ნაწილებს სთვლის:

ქვეყანა სამცხისა ან სამცხე, ბოლოდროინდელი ახალციხის მაზრა, აღმოსავლეთით ზედეკრა საკუთრივ ქართლს, ხოლო ჩრდილოეთით იმერეთს. სამცხის სამხრეთით მდებარეობდა ჯავახეთი, რომლის აღმ. ჩრდილოეთი საზღვარი უნდა იყოს ფარავნის ტბა, დასავლეთით კი არსიანის მთა. ჯავახეთის სამხრეთით იყო არტაანი, ხევი თუ ქვეყანა არტანისა, რომელსაც დასავლეთით იგივე არსიანი საზღვრავს. არტაანის ქვევით მდებარეობდა, მტკვრის სათავესთან კოლა. არტაანის და კოლას გვერდით აღმოსავლეთისკენ და ჯავახეთის სამხრეთით იყო პალაკაციო, რომლის საზღვრები ნათლად არ სჩანს. ყველა ეს ჩამოთვლილი მხარე ეკუთვნოდა მტკვრის აუზს. ახლა თუ გავიწევთ დასავლეთისკენ, შევალთ ჭოროხის ხეობაში. სულ ჩრდილოეთით, გურიისა და სამცხის მეზობლად ვხედავთ აჭარას, რომელიც დასავლეთით ჭოროხამდე აღწევდა. აჭარის დაბლა, ჯავახეთის გასწვრივ შავშეთი მდებარეობდა, რომლის სამხრეთის საზღვრად შავშეთის წყალი ან იმერხევი უნდა ჩაითვალოს, ხოლო დასავლეთით ჭოროხი. შავშეთს სამხრეთით ეკვროდა კლარჯეთი—ქვეყანა კლარჯეთისა—, რომელიც შავ ზღვამდე მიდიოდა და რომელსაც აღმოს. სამხრეთით კოლა საზღვრავდა. კლარჯეთის გვერდით იყო ეგრი, რომელზედაც მიმდინარეობს ჭოროხი, როცა კლარჯეთს გასცილდება და ლიგანის ხეობაში შედის. რაკი ქართული წყაროები ამბობენ, რომ კლარჯეთი ზღვამდე აღწევდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეგრიც და ხევი ლიგანისა კლარჯეთის ნაწილებია. კლარჯეთის სამხრეთით დასახელებულია ტაო, იმიერ-ტაო (სამხრეთი) და ამიერტაო (ჩრდილოეთი). ამის საზღვრები ბუნდოვანად ირკვევა. ტაოს ნაწილი იყო ოლთისნი. ტაოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა ბასიანი, ეს უკვე არეზის სათავესთან იყო, ეკავა მარცხენა ნაპირები. თუ ისევ ჭოროხის აუზს დაუბრუნდებით, მის მარცხენა მხარეს, ტაოს დასავლეთ მოსაზღვრედ ვხედავთ თორთომს, რომლის სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი იყო «გზა ქართლისა», ანუ საქართველოს ყელი, თურქულად «გურჯი ბოღაზი». შავი ზღვის ნაპირი, ახლანდელი ჭანეთი ან ლაზისტანი ეკუთვნოდა ქვეყანასა ქალდიაისა (ტრაპეზუნტია მუნ არს). მას აღმოსავლეთით საზღვრავდა ტაო, ბასიანი და სპერი.

ვახუშტი ბატონიშვილი ცოტა სხვანაირად განსაზღვრავს მესხეთის ნაწილებს. მტკვრის აუზში ის ათავსებს ერუშეთსაც, რომლის მდებარეობას აღნიშნავს სამცხესა და შავშეთს შუა, ერუშეთის წყლის ხეობაში, ერუშეთის მთასა და არსიანს შორის. ჭოროხის აუზში თორთომის ჩრდილოდ ასახელებს ისპირის ხეობას და ამის ჩრდილოეთით კიდევ ფორჩხის ხეობას, ხოლო გურჯი ბოღაზის მდინარის დასავლით ბაიბურდს. გარდა ამისა, ჭოროხის მარჯვენა და მარცხენა ნაპირ ადგილებს, ართვინიდან ზღვასთან მიახლოვებამდე, უწოდებს ლიგანის ხეობას. საყურადღებოა, რომ ვახუშტი კლარჯეთს ცალკე ნაწილად არ გამოყოფს, თუმცა ამ სახელწოდებას კი იხსენიებს, მაშინ როდესაც კლარჯეთს, ტაოკლარჯეთს, ტაო-კლარჯეთ-შავშეთს მესხეთის ის-

ტორიაში თითქმის მთავარი როლი ჰქონდა. უნდა დავძინოთ, რომ ვახუშტი გურიასაც და რიონის მარცხენა ნაპირს ფოთამდე მესხეთს აკუთვნებს და ამბობს, რომ გურულების გამოთქმა (კილო) არის მესხური და არა იმერთაებრო.

საერთო თვალის გადავლებით ასე უნდა მოვხაზოთ მესხეთი: შავი ზღვის ნაპირიდან, დაახლოვებით ტრაპიზონსა და რიზეს შუა ადგილიდან, უნდა დავეშვათ ძირს სამხრეთისკენ, გავუაროთ ქ. ბაიბურთს დასავლეთით, მივიდეთ იმ მთებამდე (დევანბოინის და ირიჯლუს), სადაც იწყება არეზი (არაქსი), მივუახლოვდეთ არზრუმს, მერე უნდა გავყვეთ არეზის მარცხენა ნაპირს, ქალ. ჰასან-კალის აღმოსავლეთით მივიხაროთ აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისკენ, ყარსის მთის გაყოლებით და მივაღწიოთ ჯავახეთის ნაწილს ფოსოს ამ ჩუღურეთს. როგორც ხედავთ, ეს მოზრდილი ტერიტორიაა, მისი სივრცე დაახლოვებით უდრის ქართლ-კახეთისას.

მესხეთის მდებარეობის და მის ბუნების სრულს აღწერილობას, საუკეთესოს ჯერჯერობით მაინც, გვაძლევს ვ ბატონიშვილი (+1770) თავის საქართველოს გეოგრაფიაში, რომელიც დაწერილია 1745 წ. ჩვენი გეოგრაფი და ისტორიკოსი საზოგადოდ მესხეთს ასე ახასიათებს: «არს ქვეყანა ესე ფრიად მრავალ და დიდროიან მთიანი, კლდიანი, ხევიანი, ღრატოიანი, ტყიანი, შამბ-შროშნიანი, მდინარიან-წყაროიან-ტბიანი და მცირედ ველოვანი. ზამთარ ადგილ-ადგილ ცივი და დიდთოვლიანი და ადგილ-ადგილ ფრიად თბილი; ზაფხულს შეზავებული, რამეთუ აქვს მთანი და აგარაკნი ფრიად ახლოს, ხოლო ადგილს ფრიად ცხელი და გაუძლისი, თვინიერ აგარაკთა. ჰავით მშვენი და კეთილ, არამედ ზღვის კიდეთა არა ეგრეთი. ნაყოფიერებს ქვეყანა ესე ყოვლითა მარცვლითა და არა ყოველგან. ადგილად აკეთებენ აბრეშუმსაცა მცირედ, და ხილნი არიან მრავლად და კეთილნი. არიან წალკოტნი, მტილნი და სავარდენი, განა ტყეთა, მთათა და ველთა, ვიეთთა ადგილთა შინა მრავალ არიან, ვინადგან მთა და ველნი შროშნითა ფშვიან. პირუტყვნი ყოველნი მრავალნი და ნადირნი მრავლად, არამედ ქურციკი (გარეული თხა) არა არს. ფრინველნი ურიცხვნი, განა დურაჯი, შხერო, ასკატა არა არს აქა. ჩიტნი და სირნი უამრავნი. მდინარენი მრავალნი, დიდნი და ჩქარად მომდინარენი, წყარონი ტკბილნი, მშვენნი და კარგნი. ტბანი კეთილნი და თევზიანნი და უმეტეს კალმახნი დიდნი და წვრილნი. არამედ ზუთხი არა არს მდინარე-ტბათა ამათ შინა, არც კირჩხიბი. მწერნი და მძრომელნი ადგილ-ადგილ მრავალნი და ადგილად არა ევოდენნი. ფუტკარი მრავალი, თაფლი კარგი და მრავალი».

ასეთ საერთო აღწერილობის შემდეგ ვახუშტი ცალკე კუთხეების სურათსაც გვიხატავს.

სამცხე არს შიგნით მთიანი, გორიანი, ღრატოიანი, ხევიან-კლდიანი, მაგარი მთა-ბართა სიახლოვითა, ვენახიანი, ხილიანი მრავლად. მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებენ, პირუტყვიცა მრავლად, არამედ ცხვარი უმრავლესად. ჰავით მშვენი და შემკული, აგარაკიანი. თევზნი თვინიერ ზუთხისა მრავალნი და გემოიანნი.

ჯავახეთი არს ვითარცა თრიალეთი უვენახო, უხილო, უტყეო; ვიეთთა ადგილთა წვენ წივასა, და მოსავლითაცა ეგრეთვე. არამედ ესე უმეტეს ნაყოფიერი და მოუცდენელი. ჰავითა მსგავსი (ზაფხული მშვენირია თრიალეთში, ზამთარი ცივი), განა უმჯობესიცა. ზამთარ დიდთოვლიანი და ყინვიანი. ცხოვარნი, მროწელნი (ნახირი) და ჯოგნი მრავალნი. თევზნი, ფრინველნი, თაფლნი მრავალნი.

ერუშეთი არს უვენახო, უხილო, ვითარცა ჯავახეთი, ეგრეთვე მოსავლითაცა. პირუტყვითა, ნადირითა და თევზითა; არამედ არიან მთანი ტყიანნი გარემოსა მისა და ყვავილოვან-ბალახოვან-წყაროიანნი.

არტანი არს ვაკე და უტყეო, ბალახ-ყვავილოვანი, მოსავლით ვითარცა ჯავახეთი და მთანიცა უტყეონი, მცირე არყნალთაგან (ბუჩქები) კიდე.

კოლა მოსავლით, პირუტყვით და ჰავით არს ვითარცა ჯავახეთი. აღმოსავლეთით და სამხრეთით საზღვრავს ყარსის მთა მცირე-ტყიანი, ბალახ-ყვავილოვანი, წყაროიანი, ნადირიანი, ხოლო დასავლეთით არსიანის მთა მაღალი და მცირე ტყიანი, წყაროიან-ბალახ-შამბ-შროშნიანი და ზაფხულ ფრიად მშვენიერი.

ბასიანი არის უხილო და მარცვლის მოსავლით, ვითარცა ჯავახეთი, არამედ ეს უმჯობესიცა. ჰავითაც; უტყეო, თვინიერ მცირე არყნალნი. სწვენ წივას და ზიდვენ ხესა და შეშას რასხის (არაქსის) ხევიდან.

აჭარა არს ხეობა ვენახიანი, ხილიანი, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბამბისა. ყოვლისა მარცვლისა. არს ტყიანი, კლდიანი, იწრო, ხრამოვანი, ღრატოიანი; მთანი ტყიან-ნადირიანნი.

შავშეთი არს ტყიანი, გორა-მთიანი ღელე ღრატოიანი, იწრო და მაგარი, ვენახ-ხილიანი. ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი თვინიერ ბრინჯ ბამბისა. პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. ნაყოფიერებს მიწა ამისა ფრიად, რაოდენიცა იხმარების სივიწროედ.

ტაო არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი ყოვლითა მარცვლითა, და მთის კერძოთ ვითარცა ჯავახეთი. არამედ არს მთიანი, გორიანი, ღელოვან-ხრამოვანი, ღრატოიანი, წყლიანი და იწრო.

არტანუჯი (რაიონი)—ვენახიანი, ხილიანი, მარცვალვი ყოველნი ნაყოფიერებენ, ტყიანი ფრიად და მცირე-ველოვანი. პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. ჰავით მშვენი, კეთილი; ზამთარი თბილი და დიდთოვლიანი, ზაფხული არა ეგოდენ ცხელი.

თორთომი: თორთომის მდინარის კიდე ხახულის ზეითამდე ან ციხემდე არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ხოლო მთის კერძონი, ვითარცა ჯავახეთი, განა არს მოსავლიანი, პირუტყვიანი, ფრინველ-ნადირ-თევზიანი, შემკობილი მთითა და ბარითა.

ბაიბურდი არს ვითარცა ჯავახეთი მთებრი, მოსავალ-პირუტვვითა. კერძო მისა მთანი უტყეონი და ზიდვენ ჰანეთის მთიდან ხესა და შეშას, უმეტესად სწვავენ წივას. ჰავით ზაფხულ კეთილ, ამო და შვენიერი, ზამთრივ ცივი, თოვლიანი და გაუძლისი.

ისპირის ხეობა არს ქარაფოვან-კლდოვანი, ღელე-ღრატოიანი, იწრო, ტყიანი, მცირე-ველოვანი, მოსავალ ნაყოფიერი, ყოვლითა ნაყოფიერებით და მარცვლითა. ჰავით ზაფხულ ფრიად ცხელი, არამედ აქვს მთანი და აგარაკნი ახლორეს. ზამთარი თბილი.

ბორჩხის ხეობა არს ვენახოვან-ხილიანი. იწრო და კლდიანი, მოსავლიანი. რაოდენიცა მიწანი იხვნიან, პირუტყვ-ნადირიანი. მთა-ბარნი ახლორებენ ფრიად.

ლიგანის ხეობა არს თვინიერ სივიწროისა ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით (orange), თურინჯით (citron), ლიმონით, ზეთისხილით, ბროწეულით, ლეღვით, ვენახით, ხილით. მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებენ. განა სივიწროით ვერ თესვენ ბრინჯ ბამბასა. ჰავით არს ზაფხულ ცხელი. ზამთარს ფრიად თბილი. ახლორებენ მთანი თოვლიანი და აგარაკნი, მშვენიერებით აღმკულნი წყაროებითა. პირუტყვნი. ნადირნი. ფრინველნი და თევზნი მრავალნი.

ჰანეთი. მთა არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი, განა ჰანეთიცა ფრიად ტყიანი, გორა მთა-ღელეიანი, არამედ ხილიანი, ვენახიანი, მარცვლებით მოსავლიანი. ბრინჯ ბამბითურთ და ნაყოფიერებს ფრიად. პირუტყვნი, ნადირნი ფრიად მრავალნი; ფრინველნი და თევზნი ურიცხვნი, მწერნი მრავალნი, ფუტკარი და თაფლი ბევრად. ჰავით ზღვის კიდური ცხელი, მთის კერძონი კეთილ-ჰაოვანი, ზამთარი თბილი, ზაფხული არა გაუძლისი.

როგორც ხედავთ, ვახუშტი, მიუხედავად სტერეოტიპული და ერთფეროვან გამოთქმისა, მესხეთის საკმაოდ ნათელს სურათს გვაძლევს. მესხეთი მთიანი ქვეყანაა, ველი ცოტაა, მაგრამ ნაყოფიერი, მოსავლიანი, ბუნება მდიდარია; მრავალია მდინარე, წყარო, არის ტბები, რასაც საქართველოს სხვა ნაწილებში ვერ შეხვდებით. უხვადაა პირუტყვი, ნადირი, ფრინველი, თევზი. განსხვავდებიან ერთმანეთში ერთის მხრით მტკვრის აუზის კუთხეები და მეორეს მხრით ჭოროხის კუთხეები. უკანასკნელნი უფრო მრავალფეროვანი და ტყიანნია და უფრო რბილი და თბილი ჰავის, ხილისა და ვენახისათვის ვარგისის.

თავის გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივი სიმდიდრის წყალობით მესხეთი ფრიად დაწინაურებული მხარე იყო ძველი დროიდანვე. ჯერ კიდევ პროკოფი კესარიელის სიტყვით (VI ს. ქ. შ.), თუმცა მესხეთი მთაგორიანი ადგილია, მაგრამ მკვიდრნი დახელოვნებულნი მიწათმოქმედნი იყვნენ და ქვეყანა თავის შრომით და ბუნების წყალობით ხილითა, ვენახებითა და ყოველგვარი სიკეთით აავსეს. სასოფლო მეურნეობა მაღალ დონეზე იდგა ათაბაგების დროსაც, ოსმალთა შემოსვლამდე. ყველგან ყანები, ვენახები, ბაღები იყო, საუცხოვოდ დამუშავებული. ხელოვნურად გაკეთებულ ტერასებზედაც კი მოჰყავდათ მოსავალი. გაყვანილი იყო არხები, მოწყობილი უზარმაზარ კლდეებიდან საწნახელები. არსებობდა საზოგადო სახმარებელი დაწესებულებანი—წისქვილები, აბანოები და სხ. არც თუ რუსების დროს განთქმული აბასთუმანი ახლად აღმოჩენილი იყო: აქ ძველადვე არსებობდა ოძრხე (ოცხე) თავის საბანოებით, რომელსაც მრავლად ეტანებოდა სამკურნალოდ მძიმე ავადმყოფი ქარით დახუთული, მუწუკიან ბუგრიანი და სხ. ვაჭრობა წარმოებაც ფრიად განვითარებული იყო. უკვე მე 9—10 ს. არტანუჯი, ბიზანტიური წყაროების მიხედვით, განთქმული იყო როგორც დიდი სავაჭრო ცენტრი საერთაშორისო დამოკიდებულებისა ბიზანტია-სირია-ეგვიპტესთან, აქ თავს იყრიდენ ვაჭრები მთელი საქართველოდან და უცხოეთიდან. ვახუშტის დროს, ე. ი. თურქების დამყარების 120 წ. შემდეგ მესხეთის წარმატების კვალი მთლიდ წაშლილი არ იყო. მესხეთი მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანას წარმოადგენდა. ბევრი იყო ქალაქი—ვახუშტი ასახელებს 22—რომელთა მცხოვრებნი გარდა მესხებისა იყვენ ვაჭარნი სომეხნი და ურიანი. ყოველს სოფელს ერთი ორი და ქალაქს რამდენიმე მშვენიერი გუმბათიანი ეკლესია ამკობდა. მრავალი იყო მონასტერი დიდებული ტაძრებით და სასწავლებლებით. ვახუშტის აღწერილობაში წამდაუწუმ გვხდება: აქ არის მონასტერი, კეთილნაგები, არის ეკლესია გუმბათიანი მდიდრად ნაგები, კეთილშვენიერსა ადგილსა, არს ეკლესია დიდშენი სრულიად სოფიის კენჭით, და სხვადასხვა. და ყველაფერს ამას ვახუშტი მწარედ დასძენს: აწ უქმია და ცალიერიო. მესხეთის ერთი ხევიდან მეორეში გადადიოდა გზები, მდინარეებზე გაკეთებული იყო მტკიცე ხიდეები ქვისა, ხშირად რამდენიმე თავიანი და ყოველს ხევს და გზას დარაჯობდენ მიუვალი მაგარი ციხეები. საქართველოს მწარე ბედის გამოცდილებით წინ დახედულ მესხებს გათვალისწინებული ჰქონდათ მტრის შემოსევაც და ამისათვის მიუდგომელ მთის კლდეებში დამზადებული იყო მღვიმეები ერის გასახიზნავად საშიშროების დროს.

მესხეთის ცხოვრების მოწყობილობის ნაშთი დღესაც სჩანს და ნ. მარი თავის შავშეთ-კლარჯეთის მოგზაურობაში, სხვათა შორის, ამბობს: თუ რამ გზები ან მიმოსვლის სხვა საშუალებანია ამ მხარეში,—ეს სულ ძველი საქართველოს ნაკეთებიაო. და სხვა მოგზაურებიც ერთხმად აღნიშნავენ მესხეთის ბევრი ადგილის კულტურულ სახეს—ბაღებს და ვენახებს.

***

მესხეთი ქართველი ერის ერთ-ერთი ტომის მესხების სამკვიდროა. მათი ტერიტორია ერთ დროს გაცილებით უფრო ვრცელი იყო, ვიდრე ეს ჩვენ ზევით მოვხაზეთ. შეიცავდა მერმინდელ შიდა-ქართლის დიდს ნაწილს, არამც თუ არაგვამდე (მცხეთა-მესხთა ამის მაჩვენებელია), არამედ ალბად აღწევდა კავკასიონის ქედამდე (ლეკები დღესაც მათ მეზობელ თუშებს მოსოქებს ეძახიან). მხოლოდ აწინდელი მესხები არ არიან წმინდა მესხური სისხლის მხოლოდ, არამედ შერეულნი არიან სხვა ქართველ ტომებში ისე, როგორც ამას ადგილი აქვს საქართველოს სხვა პროვინციებშიც: არსად შეურეველი ერთტომიანი მოსახლეობა არ არსებობს, არამედ ყოველგან ტომების ნარევია.

გავიხსენოთ ყოვლის უწინარეს ქართველ ტომების დაძვრა სამხრეთიდან კავკასიისაკენ 7—6 ს. ს. ქ. წინ. როგორც იცით, უძველეს დროს ეს ტომები ბინადრობდენ ეფრატის მარჯვენა ნაპირასა და კი-

ლიკიას (ადანა ალექსანდრეტას რაიონი მერმინდელი) შუა მდებარე ადგილებში, ე. ი. პირდაპირ კავკასიის სამხრეთით კი არა, არამედ უფრო სამხრეთ-დასავლეთისაკენ. პირველად დაიძრენ ჩრდილოეთისკენ, შავი ზღვის მიმართულებით (სამსონ-ტრაპიზონი) ხი-ანი ტომები—ასე უწოდებთ იმ ტომებს, რომელთა სახელწოდება ხი-თ ბოლავდება—აბასხი, კოლხი, კასხი და სხ. აქედან თანდათან წამოიწევენ აღმოსავლეთისაკენ მუსკები (მეშეხი, მუშკი—მუსკი, მოსხი—მესხი), და აბასხების და მესხების სახელით იპყრობენ მერმინდელ დასავლეთს საქართველოს მთლად და აღმოსავლეთის ერთს ნაწილს არაგვის და მტკვრის შესართავამდე; ხოლო კასკები (კასხები) და კოლხები დაბინავდებიან აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ნაწილში—კახეთსა და კოხეთში—და დასავლეთი საქართველოს უკიდურეს სამხრეთში.

ვინ არიან ეს ხი-ანები საზოგადოდ და რა ნათესაური კავშირია მათ შორის, კერძოდ კოლხებსა და კასხებს შორის, ამათსა და მესხებს შორის, მესხებსა და აბასხებს (აფხაზებს) შორის? ხი ანები ეფრატის ნაპირებზე ყველაზე უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობდენ, ერთმანეთის მახლობლად და მეზობლად; მათ სამხრეთით—ტუბალ კაენების ტომები ბინადრობდენ და სულ სამხრეთით ქართუ—ები. ხი-ანების ეს მეზობლად ცხოვრება და ერთად წამოსვლა კავკასიისკენ უთუოდ მათი ნათესავობის მაჩვენებელია. ხი სადაურობას ნიშნავს, როგორც ქართული ელი (კახ-ელი, ტფილ-ელი). არის ეს ხი უთუო ნიშანი ხი-ანი ტომების ერთობის და ნათესავობის, თუ ეს ერთი რომელიმე კილოს გრამატიკული ფორმაა სადაურობისა, რომელიც სხვადასხვა ტომებზე გავრცელდა? მეცნიერები ფიქრობენ, რომ ა ბასხი და მასხი (მესხი) ერთი და იგივეა. მაშინ გამოდის, რომ მესხების ენა თუ იგივე ა-ბასხური (აფხაზური) არ იყო, მისი ახლობელი უნდა ყოფილიყო ყოველ შემთხვევაში. კასკები (კასხების) და კოლხების ერთ და იგივეობასაც ამბობენ. თუ ასეა, უნდა დავასკვნათ: ან კოლხები მეგრულ-ჭანურს შტოს არ ეკუთვნიან (რაც სინამდვილეს უფრო უახლოვდება), ან კახეთ-კუხეთის მოსახლეობა მეგრელებისაგან იყო. ყველა ეს საკითხი მოითხოვს გარკვეულს პასუხს. რაიც ჯერ ჯერობით ძალიან ძნელია და რასაც ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვიკისრებთ.

მეორე ტალღად სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ დაიძრენ ტაბალები (ტუბალ-კაენები)—ესაა ლაზმეგრელ-იბერთა შტო ქართველთა ნათესავისა. ესენი მოაწვენ ადრე გადმოსახლებულ ტომებს და ზევით ჩრდილოეთისკენ გასწიეს. ამ ახალმა ტომებმა ლაზებისა და იბერების სახელწოდებით წინანდელების ტერიტორიის მეტი ნაწილი დაიკავეს, როგორც სამხრეთით ისე აღმოსავლეთით. აღმოსავლეთ საქართველოში იბერებმა მესხებზე გაიმარჯვეს და ქვეყანასაც თავისი სახელი მისცეს—იბერია. ხოლო ლაზების ხელში გადავიდა სამხრეთ დასავლეთის მესხეთის დიდი ნაწილი. რომ მათი როლი და გავლენა აქ ძლიერი იყო, ამის მაჩვენებელია დღემდის დარჩენილი ზოგიერთი ადგილის მეგრული სახელი: ეგრი, ისპირი, ოპიზა, ართვინი და სხ.

ქ. წინ მეორე—პირველ საუკუნოებში სომხეთი, რომელიც წინად მცირე სამფლობელო იყო, თანდათან გაფართოვდა, გაძლიერდა და სხვათა შორის მესხეთზედაც თავდასხმა იწყო და მტკვრის სათავეში მიწები წაართვა. სომხეთმა შემდეგ სხვა ადგილებიც დაიკავა და მესხეთში თავისი მკვიდრი მოსახლეობა დააბინავა. ამას მოყვა მესხთა ნაწილის გასომხება. ქრისტიანობის დამყარების შემდეგ 6 7 ს.ს. სამხრეთ მესხეთში სომხებს, რომლებიც ქალკედონისტები იყვენ, აყვავებული საეკლესიო სამონასტრო მუშაობა ჰქონდათ და მე 8 9 ს. ს. იქ რომ ქართველებმა აღმშენებლობა დაიწყეს, მათი პირველი დასაყრდნობი ეს სომხების დატოვებული ეკლესია—მონასტრები იყო ან მათი ნაშთები (ხანძთა, მიძანძორი, ოშკი, იშხანი და სხ. სულ სომხური სახელია).

უკანასკნელი ელემენტი, რომელიც შეერია მესხურს, ეს იყო ქართუს, ქართუელების ტომი ქართუ ყველა ქართველ ტომზე უფრო გვიან მოვიდა კავკასიაში და მალე მოახერხა მონათესავე ტომების გაქართუელება. ჯერჯერობით გამორკვეული არაა, თუ სახელდობრ როდის მოხდა ეს და რა პირობებმა შეუწყო ხელი მის სწრაფ განხორციელებას. უპირველესად ქართუ ები დაეპატრონენ აღმოსავლეთ საქართველოს, შეერივნენ კახ-კუხებს, იბერებს და გაიბერებულ მესხებს და აქციეს ყველა ქართუ-ელებად. მერე მათი გავლენა გავრცელდა დასავლეთ საქართველოზე და სამხრეთ ნაწილზედაც—მესხეთზე. უნდა აღინიშნოს, რომ მე-5 ს. ქ. შ. რიონის სამხრეთის ლაზ მეგრელთა მოსახლეობა, ალბად სპარსელ-ბიზანტიელების ომების გამო, მთლად ამოწყვეტილი იყო და ამ კუთხეში გადმოსვლას იწყებენ აღმოს. საქართველოს მკვიდრნი. ასევე აოხრებული იყო, უშენი და უმკვიდრო (სპარსელების, არაბების და მერე ხოლერის წყალობით) მესხეთის დიდი წილი: შავშეთი, კლარჯეთი, ტაო და სხვა ახლობელი ადგილები. აქედაც მოაწყდა აღმ. საქართველოში არაბებისაგან შეწუხებული მოსახლეობა მე-8 ს. ბოლოდან და შეუდგა ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას. რასაკვირველია, ამან ხელი შეუწყო მესხეთის გაქართუელებას, მის მის მჭიდრო დაკავშირებას დანარჩენ საქართველოსთან, მესხეთი ქართლის ნაწილი გახდა—ზემო ქართლი. თანაც არამც თუ გასომხებული ქართველები ისევ გაქართველდენ, არამედ ბევრი წმინდა სომეხიც ქართველ ერს შეუერთდა. ბასიანიც, სომხეთის მკვიდრი ნაწილიც, საქართველომ დაიპყრო და მესხეთის ფარგალში შემოვიდა.

ყველა ზემოდასახელებულმა გარემოებამ—ქართველ სხვადასხვა ტომების შერევამ, აგრედვე სომხებისამ და ბიზანტიელების, როგორც უშუალო მეზობლების გავლენამ (ისინი დროებით ფლობდენ მესხეთის ამა თუ იმ კუთხეს) შეიმუშავა მესხეთის მოსახლეობის სულიერი ტიპი და იმოქმედა მის შემოქმედებასა და ისტორიის მსვლელობაზე.

(შემდეგი იქნება)

ს. ფირცხალავა.

## «რუსეთის თურქთა ეროვნული ბრძოლა»

ჩვენს სამხრეთელ მეზობლებს ჩვენ ვუწოდებთ ოსმალებს. მათვე, ისე როგორც ყველა მათ მონათესავე ტომს ძველი რუსეთის იმპერიისა თუ დღევანდელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზედ, ვუწოდებთ აგრედვე თათრებს. ორივე ეს სახელწოდება აღნიშნულ ხალხებში და ნამეტნავად მათ ინტელიგენციაში წყენას იწვევს. ეს შეურაცყოფადაც კი მიაჩნიათ.

— «ოსმალები»—უკეთ ოსმანები—ეს ხომ მხოლოდ ერთი ისტორიული დინასტიის სახელწოდებაა. მთელი ერისთვის ასეთი სახელწოდების დარქმევა ისეთივე უაზრობაა, როგორც რუსებისთვის რომანოვების ან გერმანელებისთვის ჰოჰენცოლერნების წოდებაო. «თათრებიც» ხომ აგდებული და დამამცირებელი სახელწოდებაა. თან ჩვენი ტომების უმრავლესობას თათრებთან საერთო არაფერი აქვსო. ჩვენი სახელწოდებაა «თურქები», გთხოვთ ასე გვიწოდოთო.

თვით ყაზანელი ან ყირიმელი თათარი *)-ინტელიგენტი, როცა მას ევროპაში ეროვნებას ეკითხებიან, უპასუხებს «თურქი». მხოლოდ ბევრი ახსნა-განმარტება თუ მოსთხოვე, ბოლოს გეტყვის: «თათარი ანუ თურქ თათარი» ვარო. თურქისტანელიც უპირველესად მხოლოდ «თურქ»-ს გეტყვით. ხოლო ვრცლად გამოკითხვის შემდეგ გაიგებთ, რომ ის თურქისტანიდან არის. აზერბაიჯანელიც «თურქ»-ს უწოდებს თავის თავს. მხოლოდ ხანდახან, გასარჩევად ხმარობს «კავკასიელ თურქს», «აზერბაიჯანელ თურქს» ანუ «აზერი-თურქს».

ვფიქრობთ, ამ საკითხში არ უნდა ვაწყენინოთ მეზობელთ. ვუწოდოთ მათ საერთოდ თურქები (და ოსმალეთს თურქეთი), როგორც თვითონ უწოდებენ თავიანთ თავს და როგორც ევროპიულ ენებზეც ჰქვიათ. ვოლგა-ურალის რაიონის (იდელ-ურალის) და ყირიმის თათრებს შეგვიძლია ვუწოდოთ თათრებიც და თურქ-თათრებიც.

ასევე იქცევა გერმანელი ახალგაზდა მეცნიერი გერჰარდ ფონ მენდე თავის ამ სამი წლის წინ გამოსულ მეტად საინტერესო წიგნში: «რუსეთის თურქთა ეროვნული ბრძოლა» **). «რუსეთის თურქებს» ის უწოდებს შემოკლებით ძველი რუსეთის იმპერიის თუ დღევანდელი საბჭოთა კავშირის ყველა თურქ ანუ თურქ-თათარ ხალხებს.

ყველა ამათი საერთო რიცხვი უდრის 1926 წლის აღწერის თანახმად 17 მილიონ სულს, ხოლო თვით ამ ხალხთა ინტელიგენციის უსერიოზულეს წარმომადგენელთა გამოანგარიშება-შეფასებით 25 მილიონს.

ამ ხალხთაგან რასული თვალსაზრისით პროფესორ ფონ მენდეს ძირითად ტიპად მიაჩნია თურქესტანის ყაზახთა (არა რუს კაზაკთა!) მონგოლურ აზიური ტიპი. სხვა თურქულ ხალხებში თუ ტომებში ამ ძირითად ტიპს ერთვის სხვადასხვა რასათა ნარევები: ირანული (უზბეკებს, ბაშკირებს და აზერბაიჯანლებს), სკითური (თურქმენებს და აზერბაიჯანლებს), ფინური (ვოლგის თათრებს) და სხვა.

ბინადრობის რაიონების მიხედვით ავტორი არჩევს ერთმანეთისგან ხუთ ქვეყანას, აღნიშნული ხალხებით დასახლებულს. ესენი არიან:

1. ცენტრალური აზია: უზბეკები, თურქმენები, თარანჩები, უიგურები — 4,8 მილ. *)
2. ყაზახისტანი: ყაზახები, ყირგიზები, ყარაკალპაკები — 4.9 „
3. ვოლგის რაიონი: თათრები, ბაშკირები, მიშარები, ტიპტიარები, ყარაჩაები, ყუმიხები, ნოგაიები, ჩუვაშები — 5.1 „
4. აზერბაიჯანი: აზერი-თურქები — 1,7 „
5. ყირიმი: ყირიმის თათრები — 180 ათასი.

მცნება «ცენტრალურ აზიას» ავტორი ხმარობს ვიწრო აზრით (უზბეკისტანი და თურქმენისტანი), ხოლო მცნება «ყაზახისტანს» ფართე აზრით (ყაზახისტანი და ყირგიზისტანი).

ცენტრალურ აზიას ავტორი სამართლიანად სთვლის ყველაზე უფრო კომპაქტური თურქული მოსახლეობის რაიონად მთელ საბჭოთა კავშირში და ორტოდოქსალური მაჰმადიანიზმის ცენტრად (ამ უკანასკნელი მხრით განსაკუთრებით საყურადღებოა ბუხარის ისტორიული როლი).

ვოლგა-ურალის თურქ-თათრები, რომელნიც ყველა თანამოძმეებზე უფრო ახლოს არიან რუსეთის ცენტრთან, დასაბამიდანვე ყველაზე უფრო იყვნენ მიშვერილი რუსეთის გამარუსებელი და გამაქრისტიანებელი პოლიტიკის ტალღებისადმი. იმათ აგრედვე ყველაზე უფრო შეითვისეს კულტურული და ეკონომიური ბრძოლის ევროპიული წესები, განავითარეს მრავალრიცხვოვანი ვაჭართა კლასი და ინტელიგენცია და თავიდანვე დგანან ეროვნული ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე. მიუხედავად თავიანთი გეოგრაფიული დაქსაქსულობისა, ისინი ასრულებენ ხელმძღვანელ როლს მთელი რუსეთის თუ საბჭოთა კავშირის თურქ ხალხთა კულტურულ ცხოვრებაში.

აზერბაიჯანს ისევე როგორც თურქისტანს ახასიათებს კომპაქტური თურქული მოსახლეობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსახლეობა, წინაამდეგ თითქმის ყველა სხვა თურქული ხალხებისა, თავისი უმრავლესობით შიიტურ ისლამს აღიარებს (როგორც სპარსელები) და მხოლოდ უმცირესობით სუნიტურს, ის არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ ნაციონალურ-კულტურულს და ენის მხრითაც განსაკუთრებით ახლოა «ოსმანურ» ანუ ანატოლიის თურქებთან. და პროფესორი ფონ მენდე სრულიად დარწმუნებულია, რომ აზერბაიჯანი პირველი შეძლებისთანავე თურქეთს შეუერთდება. ეს დებულება, როგორც ვიცით, ეწინაამდეგება ჩვენი აზერბაიჯა-

---

*) ჩვენ სიტყვა «თათარს» დიახადაც არ ვხმარობთ რაიმე დამამცირებელი აზრით.

**) Gerhard von Meude. «Der nationale Kampf der Russlandturken». ბერლინი. 1926.

*) ციფრები ყველგა იმავ 1926 წლის აღწერით, მხოლოდ დარგვალებით.

ნული მეგობარ თანამებრძოლების ოფიციალურ პლატფორმას.

ზემოაღნიშნულ ფაქტებს და კითხვებს ეხება ფონ მენდე თავისი წიგნის შესავალში. შემდეგ ის გადადის წიგნის მთავარ თემაზე და აკეთებს ვრცელ ისტორიულ მიმოხილვას. ამ მიმოხილვის შინაარსი, რომელიც საშვალებას გვაძლევს აღნიშნულ ერთა ბედი მოვიგონოთ და მათ ბრძოლებს თვალი გადავავლოთ, მოკლედ შემდეგია.

რუსთა მიერ თათართა სახელმწიფოების დანგრევის («ოქროს ურდოს» დანგრევა და ყაზანის აღება) შემდეგ, რაიც მე-16 საუკუნის შუაგულში მოხდა, მე-18 საუკუნის დამლევამდის გრძელდება მწვავე ბრძოლა, რომელიც გამოიხატება მთელ რიგ აჯანყებებში. პუგაჩოვის აჯანყებაში (1774 წ.) გამოიხატა უკანასკნელად ამ პერიოდში სისხლის მღვრელი წინაამდეგობა რუსეთის ძალაუფლების მიმართ. მე-18 საუკუნის უკანასკნელი წლები—წლები საფრანგეთის დიდი რევოლუციისა—იყვენ რუსეთისთვისაც ლიბერალური პერიოდის დასაწყისად. აგრე იყო თურქ და თათარ ტომთა მიმართ წარმოებულ პოლიტიკაშიც. ისლამი აღიარებულ იქნა ნებადართულ რელიგიად (1788 წ.), დაარსებულ იქნა «ორენბურგის სასულიერო კრებული» ამ რელიგიის საქმეთა სახელმძღვანელოდ, აღდგენილ იქნა თავის უფლებებში თათართა თავად-აზნაურობა (თუმცაღა ჩამორთმეულ მიწა-მამულთა დაუბრუნებლად); თურქ თათრებს მიეცათ აღმოსავლეთთან ვაჭრობის ნებართვა. დაარსდა თათართა ქალაქის თვითმართველობები (1792), დაარსებულ იქნენ თათრული სკოლები რელიგიური განხრით, რომლებშიაც ასწავლიან არაბულსაც (სპარსულის საშვალებით); ორიენტალური სტამბა გადმოტანილ იქნა პეტერბურგიდან ყაზანში.

ეს ლიბერალური პერიოდი, როდესაც თურქ თათართა მოსახლეობა წარმატებით ავითარებს თავის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას, გრძელდება მე-19 საუკუნის შუამდის. აქ კი დგება საშინელი რეაქცია. თათარ ვაჭრებს, რომელთაც რუსი ვაჭრები ვერ უწევენ კონკურენციას აღმოსავლეთში (თურქისტანში, ციმბირში და ჩინეთში), უქმნიან მრავალ ხელოვნურ დაბრკოლებებს. ამავე დროს ჩაღდება რეპრესიები რელიგიურ და კულტურულ სფეროებში. 1854 წელს უქმდება ყაზანის უნივერსიტეტის ორიენტალური ფაკულტეტი, რომელიც გადააქვთ პეტერბურგში. მე-60 წლებში ვითარდება გაძლიერებული მისიონარული მუშაობა თურქ-თათართა მოსაქცევად და გასარუსებლად, რომელიც შეკავშირებულია «უწმიდესი სინოდის» ცნობილი ობერ-პროკურორის პობედონოსცევის და მის თანამშრომლის პროფესორ ილმინსკის სახელთან. მე-70 წლებში არსდება შავრაზმულ-კლერიკალური კავშირები, როგორიც იყო ორენბურგის «მიქელ მთავარ ანგელოზის კავშირი», რომელნიც აღრმავებენ და აფართოვებენ პობედონოსცევ-ილმინსკის ღონისძიებებს. ილმინსკის წინადადებით მთავრობა აარსებს თათართა გამარუსებელ სკოლებს და ხელს უწყობს სხვადასხვა დიალექტებს საერთო თურქ-თათრულ ენის განდევნის და ჩახრჩობის მიზნით. მთავრობა აუქმებს აგრედვე მაჰმადიანთა სასულიერო მეთაურის «მუფტი»ს არჩევას (1865) და ნიშნავს მას თავის შეხედულებით.

მთავრობის ამგვარი პოლიტიკა იწვევს თურქ ხალხებში მრავალნაირ რეაქციას: აჯანყებებს, ემიგრაციას და უპირველეს ყოვლისა ფანატიკური მოძრაობის «იშანიზმის» გაძლიერებას. არსდება ფარული რელიგიური ორდენები «იშანების» (იშანი—მეთაური) ხელმძღვანელობით, რომლებიც ქადაგებენ გარდა რელიგიური ასკეტიზმისა ზიზღს ყოველივე არამუსულმანურის—როგორც რუსულის ისე ევროპიულის—მიმართ და რუსთა კანონების არ ცნობას. ამ ორდენში ყველაზე უფრო ცნობილია «ნაკშბედნი» და «ვეისი» (დამაარსებელ იშანების სახელთა მიხედვით). მთავრობა უსასტიკესად ებრძვის მათ. მაგალითად «ვეისი»-ს იშანი ბახაუტდინი იქნა დატუსაღებული (1884 წ.), გიჟად გამოცხადებული და ციხეში მოკლული 1893 წელს.

მაგრამ ამ ფანატიკური მოძღვრების გვერდით ისახება და ვითარდება მეორეც, რომელიც პირიქით ქადაგებს ევროპიული კულტურის შეთვისებას. თუნდაც თვით რუსული ენის საშვალებით, რომ ამით უფრო წარმატებით შესძლონ მჩაგვრელთა წინააღდეგ ბრძოლა. ეს მიმდინარეობა განსაკუთრებით ძლიერდება თურქეთ რუსეთის ომის (1877/8) შემდეგ, რომელიც—როგორც ცნობილია—თურქეთის დამარცხებით დამთავრდა, რაიც თვით თურქეთშიც ევროპეიზაციისადმი მისწრაფების დასაბამად გახდა. პირველი ცნობილი წარმომადგენლები ამ მიმდინარეობისა რუსეთის თურქთა შორის იყვენ: სარწმუნოებრივი რეფორმატორი და ისტორიკოსი შიგაბეტდინ მერჯანი (1815—1889) და მრავალმხრივ განათლებული მეცნიერი ქაიუმ ნასირი, მამა თათართა სამწერლო ენისა. ორივე ვოლგის თურქ-თათრებიდანაა.

(დასასრული იქნება)

ნ. ი.

## პრომეთეს კლუბი პარიზში

5 მარტს გაიხსნა და დაიწყო საჯარო გამოსვლები პრომეთეს კლუბმა, რომელიც ამას წინად დაარსეს პარიზში პრომეთეს ერთა თვალსაჩინო წარმომადგენლებმა. კლუბის გახსნას მრავალრიცხოვანი საზოგადოება დაესწრო. იყვენ წარმოდგენილნი კავკასიის ყველა ერი, უკრაინელნი, ყაზახები, თურქისტანელები და ასევე ჩვენი ფრანგი მეგობრები.

საზეიმო სხდომა გახსნა კლუბის თავმჯდომარემ ბ. ალ. ასათიანმა შემდეგი დეკლარაციით:

თავის მოქმედების დასაწყისს პრომეთეს კლუბის გამგეობა საჭიროდ სთვლის, საჯაროდ განმარტოს კლუბის ძირითადი მიზანი და ამოცანები. პრომეთეს კლუბის სტატუტში ასეა ასახული ჩვენი საზოგადოების დანიშნულება:

«ა) კლუბის წევრთა შორის ურთიერთი დაახლოვება და შეთანხმებული თანამშრომლობის ხელის შეწყობა.

ბ) დახმარება მორალური და მატერიალური და თავის წრეში ღირსების დაცვა და განმტკიცება.

გ) წევრთა სულიერ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის ხელის შეწყობა და დახმარება.

დ) პრომეთეს კლუბი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაახლოვებას, თანხმობასა და თანამშრომლობას და ისახავს მიზნად ამ პრობლემათა პოლიტიკურ, ეკონომიურ და სულიერ სფეროების შესწავლას».

ზედმეტია მტკიცება იმისა, რომ ზემოდ აღნუსხულ მიზნების განაღდება არის კლუბის ყველა წევრისთვის საყურადღებო და საინტერესო, როგორც ინდივიდუალურად. ისე კოლექტივურად. დასახულ მიზნების განხორციელებისათვის კლუბი აარსებს საჯარო მოხსენებების, სამეცნიერო, ლიტერატურულ-მუსიკალურს, სპორტულს, სამკითხველოსა და გამომცემლობის და ქალთა სექციებს.

ამ ორგანოთა დახმარებით ჩვენ ვიმედოვნებთ, შევქმნათ აქ მტკიცე პრომეთეული კერა, რომლის გარშემო დამყარდება ჩვენი მორალური და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ხელსაყრელი ატმოსფერა.

კლუბს საკმაო ძალები მოეპოვება თავის შემადგენლობაში დასახულ მიზანთა განაღდებისათვის თვით იმ მძიმე პირობებშიაც, რომელშიდაც ვიმყოფებით. ხოლო ამ საშვალებათა ჯეროვანი გამოყენება მოითხოვს ჩვენგან მუშაობაში თანხმობისა და მეგობრული განწყობილების დამკვიდრებას.

ასეთ ნიადაგზე პრომეთეულ ოჯახის დაფუძნება განსაკუთრებულად ესაჭიროება ჩვენს ახალს თაობას და უცხოეთში მოზარდ ახალგაზდობას. ისინი მოწყვეტილნი არიან მშობლიურ კერას და მის ტრადიციებს და იზრდებიან უცხოეთში და ჩვენი დროის აღრეულ ატმოსფერაში. მეორეს მხრივ, ემიგრანტული ცხოვრების პირობები არ უწყობენ ხელს ამ წრეების ურთიერთ გაცნობასა და დაახლოვებას. მაშინ როდესაც მომავალში მათ მოუხდებათ ერთად ბრძოლა და მუშაობა და აჲისა და კარგის განაწილება. ჩვენ უნდა შეუქმნათ მათ მშობლიური წრე ეროვნულ ტრადიციათა შეთვისებისა და ჩვენი ერების ინტერესებისა და მიზნების გაგების პირობები.

ოჯახის ფუძე ქალია, და პრომეთეს ქალთა ჯგუფს დაეკისრება ჩვენი საზოგადოების ერთ ცოცხალ, ეროვნულ და ოჯახურ უმაღლესის მორალით გამსჭვალულ პრომეთეს ოჯახად გადაქცევის დიდი მისია.

ჩვენ ვცხოვრობთ ხალხთა ცხოვრების ეკონომიურ, პოლიტიკურ და ზნეობრივ საფუძველთა უდიდეს რღვევის ხანაში. ერნი და პიროვნებანი შეპყრობილნი არიან შიშისა და სასოწარკვეთილების გრძნობით. ყველა ცდილობს, მოიკრიბოს მთელი თავისი ძალა, და პირველად ყოვლისა, მორალური, მოსალოდნელ საშიშროებათაგან გადასარჩენად. მაგრამ ეს საერთო უნივერსალური სიმწარენი არაფერია იმასთან შედარებით, რასაც განიცდიან ჩვენი ერები საბჭოთა რუსეთის უღელს ქვეშ. ჩვენს ემიგრაციასაც აქვს თავისი მწარე ხვედრი. მძიმე მსხვერპლს მოითხოვს მათგან მათი ასეთი ბედი. ჩვენი ერები განაგრძობენ მკაცრ ბრძოლას, თავის იდეალის საბოლოო გამარჯვებაში დაიმედებულნი.

ჩვენი იდეალი იგივეა, რაც ჩვენი ერების. ჩვენ სრულებით არ ვფარავთ მას კულტურული მუშაობის რიდეს ქვეშ. ჩვენი კლუბის სახელწოდება და მისი შემადგენლობა მას საკმარისად ნათელ ჰყოფს. მაგრამ ჩვენი კლუბი არ არსდება პოლიტიკურ მოქმედებისათვის. ამ სფეროში მისი მუშაობა განისაზღვრება ჩვენი ეროვნული ყოფისა და ჩვენი ერების განწყობილებისა და ზრახვების შესწავლითა და გაგებით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი კლუბის ასეთს მოღვაწეობას პრომეთეს წრეთა გარეშედაც ექნება ერთგვარი ინტერესი. პრომეთეს ერები თავის რიცხვით შეიცავენ საბჭოთა კავშირის ნახევარს და ისინი ფლობენ საბჭოთა იმპერიის მატერიალურ რესურსების ორ მესამედს. მართალია ეს ერები მოსკოვის მონობას განიცდიან, მაგრამ ვინ გაბედავს იწამოს ასეთი მოვლენის მარადისობა?

ოცი წლის მანძილზე, მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპის პოლიტიკურმა რუკამ დიდი ცვლილებები განიცადა. რუსეთისა და ავსტრო-უნგრეთის იმპერიების ძველს ტერიტორიაზე აღმოცენდა 13 სახელმწიფო. ამათგან შვიდი დარჩა დამოუკიდებელი და ექვსი დაპყრობილ იქმნა მოსკოვის მიერ. მაგრამ ეს უკანასკნელნიც არ გამქრალან საბოლოვოდ, როგორც სახელმწიფო ერთეულნი და შეინახეს საბჭოთა კავშირში თავისი სახელმწიფოებრივი სახე. როგორც ავტონომიურ ერთეულებმა. და თვით საბჭოთა კონსტიტუცია აღიარებს მათი კავშირიდან გასვლის უფლებას. განა მოიპოვება ვინმე ისეთი, რომელიც ფიქრობდეს, რომ ეს ერები ვერ შეძლებენ მომავალში განაღდებას იმ უფლებისა, რომელსაც თვით საბჭოთა კონსტიტუცია ანიჭებს მათ?

მაგრამ ასეთი შესაძლებლობის განაღდებამდეც პრომეთეს ერები წარმოადგენენ დღეს, და ასე იქნება მომავალშიც, ფრიად მნიშვნელოვან ფაქტორს მსოფლიო ძალთა ჭიდილის ასპარეზზე. მათი მნიშვნელობა ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში, ფრიად ნათელია და მას საკმარისად ამჟღავნებს საბჭოთა კავშირის სტრუქტურა. მაგრამ ის განსაკუთრებულის სიცხოველით იყო გადაშლილი მთელი მსოფლიოს წინაშე იმ დიდს პროცესებში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მოსკოვს და საბჭოთა რესპუბლიკების სხვა ცენტრებში.

მაგრამ პრომეთეს ერებს—უკრაინას, კავკასიას, თურქესტანს, იდელ-ურალს, ყირიმს, ყაზახიას, კარელიას და კომს შეუძლიანთ მნიშვნელოვანი როლის თამაში არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ბედის გადაწყვეტაში, არამედ თვით მსოფლიო ეკონომიურ და პოლიტიკურს ცხოვრების უმთავრეს საკითხთა გადაჭრაში.

აღმოსავლეთის და დასავლეთის ურთიერთობათა პრობლემებში ღრმად ჩახედული პიროვნებანი უკვე ხედავენ ნათლად, რომ ამ სამყაროთა მტკიცე

ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული დამოკიდებულება ვერ დაფუძნდება მომავალში ვერც მეცხრამეტე საუკუნის დასავლეთის იმპერიალიზმისა და ვერც წარსულ საუკუნეთა აღმოსავლეთის განკერძოების ნიადაგზე. აქედან ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა შეიძლება მიეცეს პრომეთეს ერებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მომავალ ურთიერთობაში. მათ არა მარტო გეოგრაფიულად უკავიათ საშუალო მდგომარეობა აღმოსავლეთსა და დასავლეთის შორის, არამედ ასევე ეკონომიურსა და სულიერს სფეროში. პრომეთეს ერთა ასეთ პოზიციას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შუა ინაწილებენ მათთან ზოგიერთი კიდევ სხვა ერები. რომელთა ინტერესები სხვა სფეროებშიაც უახლოვდება მათსას. ყველა ეს ერები მოწოდებული არიან, გარდიქცენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის უმნიშვნელოვანეს ინტერესთა შეთანხმებისა და შერიგების ფრიად მნიშვნელოვან ელემენტად.

ჩვენი კლუბი იწყებს მოქმედებას საფრანგეთში, იმ ქვეყანაში, სადაც წარმოიშვა და საიდანაც გავრცელდა მთელს მსოფლიოში იდეა ნაციისა და ნაციონალურ სახელმწიფოსი. მსოფლიო რღვევამ. რომლის მოწამენი ჩვენ ვართ, გაანადგურა მრავალი იდეური და მორალური პრინციპები. ერთად ერთი ეროვნული იდეალია, რომელიც გადაურჩა ამ საყოველთაო რღვევას და კიდევაც შეიმოსა უძლეველი ძალით. ის შეიჭრა და იპყრობს პიროვნული და სოციალური ცხოვრების ყველა სფეროებს. ის იმოსება წარსულ ეპოქათა რელიგიურ იდეათა ძლიერებით. ეს ერთად ერთი იდეოლოგიური ბაზაა ჩვენი პრომეთეულ ოჯახისათვის და მას უქვემდებარებთ ჩვენ ყველა ინტერესებსა და ზრახვებს.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი კლუბის მუშაობა ასეთ საფუძველზე თანაგრძნობას გამოიწვევს ჩვენს ფრანგ მეგობრებში, რომლებიც გამსჭვალული არიან კეთილშობილური ეროვნული იდეალების ტრადიციებით, და ჩვენ გვექნება სიამოვნება ვიხილოთ ისინი ჩვენს საზოგადოებაში, როგორც წევრები და მეგობრები».

კრება მხურვალედ შეხვდა თავმჯდომარის დეკლარაციას, რის შემდეგ კლუბს მიესალმენ ბ. ბ. აზერბაიჯანელთა წარმომადგენელი ა. ტოფჩიბაში, უკრაინელებისაგან სოლოვანი, თურქისტნელთაგან მ. ჩოკაევი და ქართველთაგან ა. ჩხენკელი. ამის შემდეგ კლუბის გამგეობა გაუმასპინძლდა სტუმრებს და ქართულ-უკრაინულმა ხორომ შეასრულა უკრაინული და ქართული სიმღერები. კრების მეორე ნაწილი მიძღვნილი ჰქონდა ნ. კოვალსკის მოხსენებას უკრაინულ პრობლემის შესახებ. მომხსენებელმა სხარტულად, მაგრამ ფრიად ნათლად გააშუქა უკრაინული ეროვნული იდეალი, როგორც შეუთავსებელი და შეურიგებელი რუსულ საუკუნოებრივ პოლიტიკასთან. 13 მარტს პრომეთეს კლუბში მოხსენება გააკეთა მუსტაფა ჩოკაევმა—თურქისტანთა პრობლემის და 24-ს ი. ბილიმ—ყაზახთა საკითხის შესახებ.

## წერილი შანჰაიდან

აქ ორმოცდაათამდე ქართველია. მათი ცხოვრების პირობები, დღევანდელი საერთაშორისო ამბებისა გამო, მძიმეა—ძლივს ირჩენენ თავს. თანხმობით და შეკავშირებულად ცხოვრობენ, არ არიან ისე დანაწილებულნი, როგორც ესაა ჩვენს მეზობლებში, რომელთა შორის რამდენიმე ჯგუფი ერთიმეორეს ებრძვის. აქაური ქართველობა სრულებით ვენდობით თავგანწირულ მამულიშვილებს. რომლებიც სამშობლოს აღდგენას ემსახურებიან. და თუ ვერა ფრით დავეხმარებით, ხელს მაინც არ შევუშლით ვცდილობთ აქ მეზობლებთან და ყველა ერთან კარგი დამოკიდებულება გვქონდეს, ყველა ჩვენი მოკეთე და მეგობარი იყოს.

ჩვენთვის დიდი დღესასწაულია ნინოობა. ამ დღეს ტაძარში მთავარდიაკონი ლოცვებს და საკითხავებს და გუნდი საგალობლებს სანახევროდ ქართულად ასრულებენ და ეპისკოპოსიც სახარებას ქართულად ჰკითხულობს. ამ დღეს სერბებიც ჩვენთან დღესასწაულობენ, რადგან ამავე დღეს მათი წმ. საბას დღეობაცაა. ტაძარი სავსეა სხვადასხვა წარმომადგენლებით..

წირვის შემდეგ ყველანი ჩვენთან მოდიან მოსალოცავად. მართალია, შესაფერი ბინა არა გვაქვს, მაგრამ ღირსეულად ვუმასპინძლდებით და საზოგადოება ფრიად კმაყოფილი რჩება, განსაკუთრებით მოსწონთ ჩვენი ერთობა. ორი განათლებული ახალგაზდა გვყავს: ლევან ხაინდრავა (პირველ ხარისხით გაათავა შანჰაის უნივერსიტეტში ეკონომიური ნაწილი) და ნიკოლ. მახარაძე (საინჟინერო ნაწილი აქვს დამთავრებული იტალიაში),—ესენი მოხსენებებს აკეთებენ საქართველოსა და წმ. ნინოს შესახებ. მერე იმართება ჩვენებური მშვენიერი ცეკვა სიმღერა და თან ჩვენი პატარა გვრიტები ქართული ლექსებით გვატკბობენ. დღესასწაულის წარმატებას დიდად უწყობენ ხელს ჩვენი ქალები. რომელთა თავმჯდომარე ნად. ხოშტარიასი საუკეთესო გამოხატულებაა ქართველი ქალის სილამაზის და სიმხნევის.

ვდღესასწაულობთ, რასაკვირველია, ჩვენს ეროვნულ დღესაც—26 მაისს.

კ.

## ნინო მაღალაშვილი-აიოლოსი

თებერვლის 23-ს პრაღაში გარდაიცვალა ერთ-ერთ საავადმყოფოში მცირე ოპერაციის შემდეგ ჩვენი თანამემამულე ქალი—ემიგრანტი ნინო აიოლოსი, მაღალაშვილის ასული.

განსვენებული 17 წლის წინედ ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიაში პირდაპირ სტამბოლიდან თავისი მეუღლე გრიგორით და მას შემდეგ ეს ქვეყანა იყო მუდმივი მისი თავშესაფარი. მოწოდებით მომღერალი, ნინო რამოდენიმეჯერ გამოსულა აქ საჯაროდ ემიგრანტობის პირველ დღეებში და წარუდგენია ფართო საზოგადოებისთვის ქართული სიმღერის და ქართველი ქალის სილამაზე.

დამოუკიდებლობის ხანაშიც ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ადგილებში მოგვისმენია ხოლმე ნინო მაღალაშვილის ტკბილი ხმა, ჩვენ ეროვნულ ხელოვნებას რომ პირდებოდა მომავალში ნაყოფიერ სამსახურს. აქ, ემიგრაციაში, მუდამ 26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, ხომ ნინოს მიერ შესრულებული ეროვნული ჰიმნით ვიწყებდით ჩვენს ზეიმს.

განსვენებული ნინო ეკუთვნოდა ჩვენი ეროვნული ემიგრაციის იმ ნაწილს, რომელსაც სამშობლო მუდამ ხატად ესვენა გულში და არას დროს არც ყოფაქცევით და არც მოქმედებით რაიმე ჩრდილი არ მიუყენებია ქართველის სახელისათვის. ამით აიხსნება, რომ მას ჰქონდა ფართო ნაცნობობა როგორც ადგილობრივ, ისე ემიგრაციის ფართო წრეებთან. უკრაინელთ ქალთა საზოგადოება სამძიმრის წერილში გვწერს:—«განსვენებული ნინო აიოლ ოსი იწვევდა ჩვენს შორის მისდამი ფართო სიმპატიას, როგორც ღრმა პატრიოტიზმით, ისე მისი გარეგანი მშვენიერებით, სილამაზით» და სხ. უკანასკნელ გამოთხოვებას დაესწრო ემიგრაციის პირობებში უჩვეულო მრავალრიცხოვანი საზოგადოება, განსაკუთრებით ჩეხი-მანდილოსნები, რომლებიც მკვიდრი დებივით დასტიროდენ ჩვენს მიცვალებულს.

აღზრდილი თავის საკუთარ მშობლიურ ოჯახში განებივრებით, ოჯახურ შრომას და საზოგადოდ რაიმე ფიზიკურ გარჯას უჩვეულო, ნინო ეგუება ემიგრაციის მწარე ხვედრს და განსაკუთრებით ბოლო ხანებში, როცა ეს გაჭივრება ძალიან იზრდება, ის ერთიორად აძლიერებს ენერგიას არსებობისათვის ბრძოლაში და ოჯახურ საქმეებს გარდა ახერხებს იშოვნოს მოწაფეები—მუსიკის შესწავლის მსურველნი, და მთელ რიგ ჩეხის ქალს ასწავლის ფრანგულ ენას, რომელიც ნინოს თვითონ არასოდეს სკოლაში არ შეუსწავლია. მისი მოწაფეები კი აღტაცებაში მოდიოდნენ მასწავლებლის ოსტატური ნიჭით ამ ენის გადმოცემაში.

იგი რწმენით და იმედით შეყურებდა მომავალს და ელოდა, რომ ეღირსებოდა თავისუფალ სამშობლოში დაბრუნება. მაგრამ ვერ ეღირსა ამ ბედნიერებას და სამუდამოდ დახუჭავს თვალებს უცხოეთში და, რაც ტრაღიკულია, ამ მომენტში მას ვერ უხუჭავს თვალებს მუდამ მის გვერდში მდგომი ერთგული მეუღლე, ვერც ვერავინ ჩვენგანი. დილის ცხრა საათზე სანახავად მისულთ საავადმყოფოს მსახური გვამცნობს: ქ-ნი ნინო გარდაიცვალაო.

დასაფლავება მოხდა 27 თებერვალს ცხედარის დაწვით კრემატორიუმში. ძვირფასს მიცვალებულს გამოეთხოვა ქართველების და დამსწრე საზოგადოების სახელით ქართულად და ჩეხურად ემ. ლომთათიძე.

ნინოს საქართველოში ჰყავს მოხუცი დედა და ოცი წლის ქალი, რომელსაც ესეც არის, დაუთავებია კონსერვატორია ტფილისში.

ემ. ლ—ძე.

## დიმიტრი გოცირიძე

17-ს მარტს ბრევანის საავადმყოფოში გარდაიცვალა ჩვენი თანამემამულე დიმიტრი გოცირიძე. განსვენებული ჯერ კიდევ სულ ახალგაზდა ჩამოვიდა ემიგრაციაში. თავდაპირველად სოშოში აწარმოებდა კომერციას. შემდეგ გადმოვიდა პარიზში და აქ მთელი ხუთი წლის განმავლობაში ებრძოდა საშინელ სენს—ჭლექს. დაკრძალვა მოხდა 20 მარტს ლიმეი ბრევანის სასაფლაოზე.

## ქართველები საფრანგეთში

12 მარტს გავოს დარბაზში 13 წლის ეთერი რუხაძე გამოვიდა რესიტალით, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო და ყვავილებით და ოვაციებით დააჯილდოვა ეს უნიჭიერესი ბავშვი. კერძოდ განხილვას მისი დაკვრისას ჩვენ არ შეუდგებით. მხოლოდ უნდა ვსთქვათ, რომ რაც ამ კონცერტზე მოვისმინეთ და ვნახეთ, ღირსია დიდი ყურადღებისა. როგორც მშობლებმა ისე მთელმა საზოგადოებამ განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ეთერი რუხაძისადმი და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მას სასახელო მომავალი ელის.

— აპრილის 29 ს, ობის დარბაზში გაიმართება ქართული საღამო ტუბერკულოზიანთა დამხმარე კომიტეტის სალარის გასაძლიერებლად.

პროგრამა ასეთი იქნება: წარმოდგენა—«ხოსიას ღელე», «რედაქციაში»; ქართული გუნდი; მეგობრული შარჟი; დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ემიგრაციის მუსიკალური და არტისტული ძალები. დასასრულ ცეკვა.

— პიანისტი ქ-ნ მარგარიტა სალბერგ-ვაჩნაძის საჯარო კონცერტი გაიმართება «სალ ერარში» (სადაც ქართული საღამო გაიმართა) 13 რიუ დე მაილ, 16 მაისს. როგორც ვიცით ქ-ნ მ. სალბეგ-ვაჩნაძემ საუცხოვოდ დაამთავრა კონსერვატორია, სადაც ახლა მიწვეულია პიანინოს პროფესორად დაბალ კლასებში.

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო დ. ხელაძის გამოცემული ახალი წიგნი ანჩინის «სახელმწიფო და ერი». წიგნი გამოცემულია სუფთად და კარგ ქაღალდზე.

ს. ფურცხალავას ისტორიული ესკისები «თამარ მეფე» (1 ტახტზე ასვლა. 2 თამარი და რუსი. 3 მიჯნურნი. 4 დარბაზობა. 5 ომი. 6 მიცვალება), რომელიც დაიბეჭდა მხოლოდ ასი ცალი, იყიდება ოფისში ბ. ს. გოგოლაშვილთან.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuville.*

Le Gérant : J. DUCROS

ρ-1206